კვირეული „ვერსია“ ერთი

ვერსია

№3 (1593) 26 იანვარი — 1 თებერვალი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

„მდინარე იორდანესთან 4 000 კვ.მ. მიწის გადმოცემა და იქ ქართული კულტურის ცენტრის მშენებლობა ქართული სახელმწიფოს მნიშვნელოვანი მიღწევაა“

აგვისტოს ომიდან უკრაინის კრიზისამდე

დაიწყებს თუ არა რუსეთი ომს, უკავშირდება თუ არა სომხეთის პრეზიდენტის გადადგომა უკრაინის მოვლენებს და რა ელის საქართველოს

რა მიზანს ემსახურება პატრიოტთა ალიანსის მიერ შექმნილი 40-სუბიექტიანი პოლიტიკური გაერთიანება

გოჩა ჯოჯუა: „დასავლეთის საქართველოსადმი მხარდაჭერა არაჯეროვანია!“

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

რატომ ვერ გვარდება დევნილების 30-წლიანი პრობლემა

პაატა დავითაია: „აფხაზეთის მთავრობის 24-მილიონიანი ბიუჯეტის 80% ხელფასებზე იხარჯება“

„მდინარე იორდანესთან 4 000 კვ.მ. მიწის გადმოცემა და იქ ქართული კულტურის ცენტრის მშენებლობა ქართული სახელმწიფოს მნიშვნელოვანი მიღწევაა“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

წმინდა მიწაზე ქართული სამონასტრო მოღვაწეობის ისტორიული რაკურსი ჯაბა სამუშიასგან

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, მდინარე იორდანესთან, საქართველოს გადაეცა მიწა, სადაც ქართული კულტურის ცენტრი აშენდება: „როგორც იცით, საქართველოს გადაეცა 4 000 კვ.მ. მიწა მდინარე იორდანესთან, მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარედ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით, ამ წმინდა მიწაზე ქართული კულტურის ცენტრის აშენებას ვგეგმავთ. სწორედ ამ მიზნით, ჩვენ შევქმნით სამთავრობო კომისიას და დავიწყებთ მუშაობას კონცეფციაზე, პროექტზე და შემდეგ უკვე მშენებლობაზე გადავალთ...

კიდევ ერთხელ, მადლობას ვუხდი იორდანიის მეფე აბდულა მეორეს, პრინც ღაზის, იერუსალიმის პატრიარქ თეოფილუსს, იორდანიის არქიეპისკომოსსა და ყველას, ვინც ჩართული იყო ამ პროცესში, განსაკუთრებით ჩვენს ელჩს იორდანიაში, ზაზა კანდელაკს და საგარეო საქმეთა სამინისტროს. როგორც მოგახსენეთ, ამ მიზნით, დღეს შევქმნით კომისიას. კომისიის მუშაობაში მონაწილეობა ასევე ვთხოვეთ საპატრიარქოს წარმომადგენლებს, კერძოდ, მეუფე შიოს, მეუფე გერასიმეს, მეუფე დავითს, მეუფე თეოდორეს და დეკანოზ ანდრია ჯაღმაიძეს“, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

„ვერსია“ ისტორიკოს ჯაბა სამუშიას ესაუბრა, რომელიც წმინდა მიწაზე ქართული სამონასტრო მოღვაწეობის ისტორიულ რაკურსს გვთავაზობს.

სამუშიას განმარტებით, საქართველოს წმინდა მიწაზე მონასტრები მეოთხე საუკუნის მიწურულიდან გააჩნდა:

„იყო პერიოდი, როცა წმინდა მიწაზე იერუსალიმში, მდინარე იორდანესთან, ბეთლემსა და სხვა ადგილებზე, ათობით მონასტერი ჰქონდათ ქართველებს. ამას გარდა, იყო ამ მონასტრების კუთვნილი მიწის საკმაოდ დიდი ფონდიც, რისი შემწობითაც ირჩენდნენ ეს მონასტრები თავს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ქართველების ასეთი წარმომადგენლობა წმინდა მიწაზე იყო მნიშვნელოვანი, როგორც ქართული სახელმწიფოსთვის, ისე ქართული ეკლესიისთვის, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. იყო არაერთი მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან, მაგალითად, მე-11 საუკუნეში, ჯვრის მონასტრის ხელახალი მშენებლობის დროს, პროხორე ქართველს სწორედ სამეფო ოჯახმა, მარიამ დედოფალმა – ბაგრატ მეოთხის დედამ შესწირა საკმაოდ დიდი ფინანსური დახმარება. ის თვითონ არ ჩავიდა, არამედ, გიორგი მთაწმინდელს გაატანა ეს თანხა. ასევე, არსებობს უამრავი ცნობა, როცა ქართული სახელმწიფო, მეფე-მთავრები მხარში ედგნენ მათ, მაგრამ, სამწუხაროდ, გვიან შუა საუკუნეებში ანუ მას შემდეგ, რაც საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია აირია და ძალიან მძიმე იყო ქართული სახელმწიფოს მდგომარეობა, ქართველებმა ველარ მოახერხეს წმინდა მიწაზე ამ მონასტრების შენარჩუნება. რეალურად, მე-18 საუკუნის მიწურულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში, წმინდა მიწაზე მხოლოდ რამდენიმე ქართველი ბერი მოღვაწეობდა, ხოლო ეკლესიები კი გადაინაწილეს, დაიტაცეს სხვადასხვა ეკლესიებმა და მათ მფლობელობაში მოექცა ქართული ეკლესიებიც. ასე დავკარგეთ წმინდა მიწაზე ეს მართლაც უნიკალური სიძველეები და დღეს, წმინდა მიწაზე, ორიოდ სახლის გარდა, რომელიც იყო შეძენილი გასული საუკუნის 90-იან წლებში, არაფერი გაგვაჩნდა. ამ ფონზე, ბუნებრივია, 4 000 კვ.მ. მიწის გადმოცემა და შემდგომ იქ ქართული კულტურის ცენტრის მშენებლობა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა ქართული სახელმწიფოსთვის და ეს ნიშნავს კიდეც, გარკვეულად, წმინდა მიწაზე დაბრუნებას.

ეს მიღწეული იქნა, როგორც საქართველოს მთავრობის, ასევე, დიპლომატიური კორპუსის აქტიური ჩართულობით და ბუნებრივია, თავად იორდანიის სამეფოს ხელისუფლების უშუალო ნებით“.

რაც შეეხება აღნიშნულ კულტურულ ცენტრს, ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ ის ქართული მეცნიერული ცენტრის ფუნქციასაც შეიძენს:

„ეს არ იქნება მხოლოდ კულტურის ცენტრი. მე ასე წარმომიდგენია, რომ ეს უნდა იყოს ასევე მეცნიერების ცენტრიც, რადგან წმინდა მიწაზე იმდენი სიძველეა შესასწავლი, მათ შორის არქეოლოგების, ისტორიკოსების, წყაროთმცოდნეთა მიერ, რომ ბუნებივია, ამ ცენტრმა უნდა იკისროს მეცნიერების ფუნქციაც. აუცილებელია, ქართველმა ისტორიკოსებმა და არქეოლოგებმა იმუშაონ ამ მიმართულებით, ადგილობრივ სპეციალისტებთან ერთად, რადგან მაგალითად, რამდენიმე კვირის წინ, მდინარე იორდანეს მიდამოებში იქნა აღმოჩენილი ახალი ქართული მონასტერი, რომელშიც, სავარაუდოდ, დასაფლავებულია პროხორე ქართველი და იქ არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა. ასე რომ, ამ თვალსაზრისით, ბუნებრივია, კულტურის ცენტრმა ეს ტვირთიც უნდა აიღოს – ტვირთი სამეცნიერო ცენტრისა.

როგორც პრემიერმა განაცხადა, ეს იქნება ერისა და ბერის ერთობლივად შექმნილი სამუშაო, რადგან ჩაერთვებიან საპატრიარქოს წარმომადგენლები და ბუნებრივია, საერო პირებიც – სახელმწიფოს მიერ დასახელებული პერსონები, რომლებიც აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას ამ პროექტის განხორციელებაში“.

სალომე ნოზაძე
ნინო დოლიძე

აგვისტოს ომიდან უკრაინის კრიზისამდე

დაიწყებს თუ არა რუსეთი ომს, უკავშირდება თუ არა სომხეთის პრეზიდენტის გადადგომა უკრაინის მოვლენებს და რა ელის საქართველოს

ეს „რუსული კინო“ ჩვენ 14 წლის წინ ვნახეთ ანუ ის, რაც ახლა უკრაინაში ხდება, საქართველოში 2008 წლის ზაფხულში მოხდა, თუმცა მაშინ კრემლი უფრო ბოროტად მოიქცა – პრაქტიკულად, გაიძვერულად დაგვესხა თავს. უფრო კონკრეტულად, მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოელმა მეზობელმა საქართველოს დაპყრობა ორი საუკუნის წინ დაიწყო და იგივე 2008 წელსაც, ოკუპაციის პატარა-პატარა კერებს აჩენდა, ვიღაცებს არ ეგონათ, რომ პუტინი ფართომასშტაბიანი ომის დაწყებას გაბედავდა, მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა და „რუსულმა დათვმა“ ანგარიში არც ცივილურ მსოფლიოს გაუწია.

ახლა კი, უკრაინის შემთხვევაში, ისე გამოდის, რომ დასავლეთმა, მაგალითად, აშშ-მ კრემლს თითქოს მწვანე აუნთო ანუ ბაიდენის ორაზროვანმა განცხადებამ, მცირე შეჭრა შეიძლებაო, მხოლოდ ქართველი კი არა, მსოფლიოში ცნობილი უცხოელი ანალიტიკოსებიც დააბნია. მართალია, მოგვიანებით, თეთრი სახლის ადმინისტრაციამ ბაიდენის ორაზროვანი განცხადების გამოსწორება სცადა, პრეზიდენტმა სხვა რამე იგულისხმაო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა უკრაინაში მყოფ საკუთარ დიპლომატებს ურჩია, თქვენმა ოჯახის წევრებმა ქვეყანა დატოვონო.

პარალელურად, ამერიკის შეერთებული შტატები უკრაინაში შეიარაღებასაც აგზავნის ანუ ისე გამოდის, რომ მსოფლიოს ზესახელმწიფო ორმაგ თამაშს თამაშობს – რუსეთის აგრესიასაც უწევს წინააღმდეგობას, თან ისიც არ უნდა, რომ პუტინმა საკუთარი ვნებები დაიცხროს და უკრაინა დაიპყროს.

ასეა თუ ისე, უკრაინის პროცესები რეგიონის ყველა მოთამაშეზე თავის კვალს დატოვებს. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთი ვლადიმერ ვლადიმერის ძის საომარ ამბიციებს არ შეაკავებს და უკრაინაში „წითელი დროშა“ აფრიალდება, ანალოგიურს, დიდი ალბათობით, ჩვენც უნდა ველოდოთ, მით უმეტეს, რომ საქართველოს 20 პროცენტი კრემლის მიერ ოფიციალურად არის ოკუპირებული – თბილისიდან რამდენიმე კილომეტრში, რუსის ჯარი დგას და ოკუპანტები ბოლო დროს მავთულხლართებს უკვე ოფიციალური თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზეც ავლებენ.

ზოგადად, პუტინი დანგრეული საბჭოთა კავშირის აღდგენაზე რომ ოცნებობს, ეს ახალი ნამდვილად არ არის – თავის დროზე, მან „წითელი იმპერიის“ დაშლას „გეოპოლიტიკური შეცდომა“ უწოდა. ზოგს 30 წლის წინანდელი სტატუს-კვოს აღდგენა უტოპია ჰგონია, მაგრამ თუ ფართოდ დახუჭულ თვალებს გავახელთ, ადვილად შევამჩნევთ, რომ კრემლი ანგარიშგასაწევი ძალაა და პუტინის „გალიაში გამოსამწყვდევად“ ეკონომიკური თუ სხვა სანქციების დაწესება მაინცდამაინც ეფექტური არ არის.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, კრემლს როცა მოუნდება, სამხრეთ კავკასიას „ჯიბეში“ მაშინ ჩაისვამს. იგივე, აზერბაიჯანი და სომხეთიც, ღიად თუ ირიბად, პუტინის „ძმადნაფიცები“ არიან. „დიდ ძმას“ საქართველოსთვის „კისრის მოგრეხვაც“ არ გაუჭირდება.

და ზუსტად იმ დროს, როცა უკრაინა ომის ზღვარზეა, სომხეთის პრეზიდენტი თანამდებობას ტოვებს. საერთოდ, დიდ პოლიტიკაში შემთხვევით არაფერი ხდება და ესა თუ ის მოვლენა ხან პირდაპირ, ხანაც ირიბად, ერთმანეთთან არის ხოლმე კავშირში. შესაბამისად, „ვერსიის“ ჟურნალისტმა, სალომე ნოზაძემ კითხვით – სომხეთის პრეზიდენტის, ერმენ სარქისიანის გადადგომა უკრაინის მოვლენებს უკავშირდება თუ არა – ექსპერტ-კონფლიქტოლოგ მამუკა არეშიძეს მიმართა. ამასთან, რესპონდენტს სალომე ნოზაძემ იმის შესახებაც ჰკითხა, რა პოზიცია უნდა დაიჭიროს უკრაინის კრიზისზე საქართველომ.

მამუკა არეშიძე ამბობს, რომ ჩვენ მოვლენების განვითარებას უნდა დავაკვირდეთ და, პარალელურად, მხარი უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობასაც დავუჭიროთ:

„მოვლენების განვითარებას იმიტომ უნდა დავაკვირდეთ, რომ რუსეთი, ჩემი აზრით, უკრაინაში შეჭრას არ გეგმავს და მთელი ეს „კუნთების თამაში“ იმისთვის სჭირდება, დასავალეთი აიძულოს, მის პირობებს დათანხმდეს.

უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში, რუსეთისთვის კატასტროფული შედეგები დადგება, მით უმეტეს, რომ კრემლს ზურგში ბევრად სახიფათო კონფლიქტი აქვს ცენტრალური აზიის კონფლიქტს ვგულისხმობ, რომელსაც ხაზი ყაზახეთის მოვლენებმა უფრო გაუსვა. რუსეთისთვის ორ ფრონტზე ბრძოლა ძალიან რთულია და ამიტომაც არ მგონია, ეს ნაბიჯი გადადგას. უკრაინა საქართველო არაა და გარდა იმისა, რომ სანქციები დაწესდება, უკრანასთან ბრძოლა, რუსი ხალხის ცნობიერების თვალსაზრისით, პრაქტიკულად, სამოქალაქო ომს ნიშნავს.

ამასთან, უკრაინა, სამხედრო თვალსაზრისით, ბევრად უფრო დიდი და ძლიერი სახელმწიფოა, ვიდრე – საქართველო, რაც ომის გახანგრძლივებას გამოიწვევს. რუსეთის ეკონომიკა იმ მდგომარეობაში არაა, რომ ხანგრძლივ სამხედრო დაპირისპირებას გაუძლოს. აქედან გამომდინარე, არ ვვარაუდობ, რომ ომი დაიწყება. ვფიქრობ, მხარეები დაძაბულობას ხელოვნურად ქმნიან, რათა სათავისო შედეგები მიიღონ.

სხვათა შორის, უკრაინის ხელისუფლების პოზიციით დასავლეთიც უკმაყოფილოა ანუ უკრაინის ხელისუფლება უარს ამბობს მინსკის ხელშეკრულების რეალიზაციაზე. აქედან გამომდინარე, რუსეთი კიევზე ზეწოლას ამ ფორმითაც ახორციელებს – ერთია დაძაბულობის ხელოვნურად გაბუქება და მეორე, სხვადასხვა დიპლომატიური მეთოდი, რომ ზელენსკის ხელისუფლება აიძულოს, ხელი მოაწეროს დოკუმენტს და მოახდინოს რეალიზაცია, რაც დონეცკისა და ლუგანსკისთვის, უკრაინის შემადგენლობაში, განსაკუთრებულ სტატუსს ნიშნავს.

ისე, მიუხედავად იმისა, რომ ხელი სხვა ხელისუფლებამ მოაწერა, თავის დროზე, ამ დოკუმენტზე არ უნდა შეთანხმებულიყვნენ, მაგრამ რადგან შეთანხმება შედგა, დასავლეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მოსკოვს არგუმენტი გამოაცალოს“.

მამუკა არეშიძის აზრით, როგორ ისტერიკაშიც უნდა ჩავარდეს საქართველო, ეს შედეგის მომტანი არ იქნება, თუმცა კონფლიქტოლოგი უკრაინაში დეპუტაციის გაგზავნას და ასევე, განცხადებებს არ გამორიცხავს.

და მაინც, რა ელის საქართველოს, თუკი რუსეთი უკრაინაზე იერიშს მაინც მიიტანას? – არეშიძე ამბობს, რომ ეს ჩვენთვის ძალიან ცუდ შედეგებს მოიტანს:

„თუ რუსეთი დიდ წარმატებას მიაღწევს ძალიან ხანმოკლე პერიოდში, მაშინ მისი მხრიდან საქართველოზე ზეწოლა კიდევ უფრო გაძლიერდება ანუ სხვადასხვა დათმობაზე წასვლის აუცილებლობა დაგვიდგება, დასავლეთი კვლავ შეშფოთებული იქნება, როგორც ყოველთვის და ჩვენ ვიქნებით უფრო მეტი წნეხის ქვეშ, ვიდრე დღეს ვართ“.

რაც შეეხება სომხეთის პრეზიდენტის გადადგომას, კონფლიქტოლოგი „ვერსიას“ ეუბნება, რომ ეს უკრაინის კრიზისთან არ უკავშირდება:

„ეს დაკავშირებულია იმ ცვლილებებთან, რომელსაც პაშინიანის მთავრობა თურქეთსა და აზერბაიჯანთან ურთიერთობების კონტექსტში გეგმავს“.

რატომ ვერ გვარდება დევნილების 30-წლიანი პრობლემა

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რამდენიმე დღის წინ, თბილისის ზღვის უბანში ტრაგედია მოხდა. ყოფილ სანატორიუმ „ქართლში“ მცხოვრები დევნილი, 52 წლის მამაკაცი, 7-სართულიანი შენობის სახურავიდან გადმოხტა. მომხდარზე გამოძიებაა დაწყებული... დევნილების პროტესტი კი ყოფილ სანატორიუმში არსებულ გაუსაძლის პირობებს მოჰყვა და მიუხედავად იმისა, რომ ეტაპობრივად, სახელმწიფო დევნილებს საცხოვრებელ ფართებს გადასცემს, 30 წლის შემდეგაც, ეს პრობლემა ბოლომდე არ აღმოფხვრილა. რა პრობლემების წინაშე დგანან ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულნი? – „ვერსია“ ევროპელი დემოკრატების თავმჯდომარე პაატა დავითაიას ესაუბრა:

პაატა დავითაია: „აფხაზეთის მთავრობის 24-მილიონიანი ბიუჯეტის 80% ხელფასებზე იხარჯება“

– დევნილების პრობლემები, მინდა, ცოტა სხვა კუთხით დაგანახოთ. ის, რაც სანატორიუმ „ქართლში“ მოხდა, თვითმკვლელობა კი არა, თვითმკვლელობამდე მიყვანაა და ეს პირველი შემთხვევა არ გახლავთ. უბრალოდ, ეს მასმედიამ გაიგო და გაავრცელა. წარმოიდგინეთ, ეს ადამიანი 20 წლის იყო, აქ რომ ჩამოვიდა და 30 წელი ასეთ გაჭირვებაში გაატარა, ბოლოს კი ნერვებმა უმტყუნა, რაც სახელმწიფოს ბრალია იმიტომ, რომ დევნილების მიმართ ერთიანი მიდგომა არ არის.

„ვარდების რევოლუციამდე“, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას რეალური ძალაუფლება ჰქონდა – თავისი შემოსავლებითა და საგადასახადო სისტემით, რაც დევნილების პრინციპზე იყო აგებული. მაშინ იუსტიციის მინისტრი ვიყავი, ჩემი ნოტარიუსები მყავდა და დევნილებს ემსახურებოდნენ. ამიტომ ხელმძღვანელ პირებს უშუალო შეხება ჰქონდათ დევნილებთან. მით უმეტეს, ისეთ გაჭირვებულ პერიოდში, როგორიც იყო 1993-2003 წლები, როცა შევარდნაძე თავს დამნაშავედ გრძნობდა დევნილების წინაშე და მაქსიმალურად უწყობდა ხელს. მე რომ აფხაზეთის იუსტიიცის მინისტრი ვიყავი, დიდი ძალაუფლება მქონდა და ვიყენებდი კიდეც, ასევე იყო აფხაზეთის ყველა მინისტრი. 2003 წელს კი, როცა ნაციონალური მოძრაობა მოვიდა ხელისუფლებაში, ეს სტრუქტურა (აფხაზეთის მთავრობა, – რედ.) ბუტაფორიად აქციეს. წაართვეს უფლებამოსილებები და გადასცეს ცენტრალურ ხელისუფლებას, თუმცა ამ სიმბოლური ორგანოს ბიუჯეტი ახლა 24 მილიონი ლარია. ჩემს დროს კი, როცა მინისტრის რეალური ძალაუფლება მქონდა, ბიუჯეტი 5-6 მილიონ ლარს არ სცილდებოდა. სააკაშვილის შემდეგ და დღესაც, 24-მილიონიანი ბიუჯეტის დაახლოებით 80% – ხელფასებზე იხარჯება. უმაღლესი საბჭოს დეპუტატები კი მუდმივმოქმედნი არიან და ხელფასებსაც თავად ინიშნავენ – საქართველოს პარლამენტის წევრებზე მეტი ხელფასი აქვთ, თითო დეპუტატს თითო მანქანა ემსახურება. მოკლედ, ყველაფერი მარაზმამდე მივიდა! აფხაზეთის მთავრობის მინისტრთა კაბინეტი ბუტაფორიად დარჩა, რომელსაც მხოლოდ ხელფასი ენიშნება და უფლებსამოსილება არ გააჩნია. მაგალითად, როცა ახლა პასუხს დევნილთა და განსახლების მინისტრ დავით ფაცაციას სთხოვენ, სინამდვილეში, ის არაფერს წყვეტს, რადგან რეალური ძალაუფლება არ აქვს და, მაქსიმუმ, ის შეუძლია, რომ მისწეროს დევნილთა და განსახლების სამინისტროს გარკვეული პრობლემის შესახებ.

დევნილებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ინტეგრაცია მოხდა, მაგრამ სტრუქტურული ინტეგრაცია არ მომხდარა, რადგან ვინც ნამდვილად იცოდა დევნილების პრობლემა, ის სტრუქტურები აქციეს ბუტაფორიად, ქმედუუნაროდ და ის, ვისაც დევნილთან შეხება აქვს, დევნილი არაა, ამიტომ ვერ უღრმავდება პრობლემას. ზოგს ჰგონია, რომ დევნილებს ბინა მისცეს და ამით ყველაფერი დამთავრდა, რაც ასე არაა.

– ბატონო პაატა, კონკრეტულად, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას დევნილების პრობლემების მოსაგვარებლად?

– სამ პრობლემას დავასახელებ, რომელთა მოგვარებაც შეიძლება, რათა ცოტა შევუმსუბუქოთ ყოფა. გაეროს დებულების მიხედვით, დევნილი თუ ხარ, ან უნდა დაგაბრუნონ სახლში, ან დევნილობის საპირწონე უნდა გაგიკეთონ. ვიტყვი, რაც უნდა გაკეთდეს დღეს – მაგალითად, არ უნდა ხდებოდეს დევნილების შემცირება დამსაქმებლის მიერ. დანაშაული თუ ჩაიდინა, ეს სხვა თემაა... ამასთან, თუ დასასაქმებლად კონკურსში მონაწილეობს, დევნილს უნდა ჰქონდეს პრიორიტეტი ისე, როგორც, ვთქვათ, გერმანიაშია... იქ პრიორიტეტი მოქალაქეს ეძლევა და არა – ცხოვრების უფლების მქონე პირს.

ასევე, მნიშვნელოვანია ჯანდაცვის საკითხი – დევნილებს 45 ლარი ეძლევათ დახმარების სახით და მოდით, ვთქვათ სიმართლე, რომ 45 ლარად არავინ ცხოვრობს. მთავრობა სულ უმატებს ამ თანხას, მაგრამ ახლა, პირობითად, 25 ლარზე მეტს ხომ ვერ მოუმატებს? ამიტომ ვამბობ, რომ შემოვიტანოთ საყოველთაო დაზღვევა დევნილებისთვის, მოვუმატოთ 25 ლარი, თუმცა არ მივცეთ და ეს თანხა გადავიტანოთ ჯანდაცვის დაზღვევისთვის. ამით ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა დიდწილად მოგვარდება.

მესამე საკითხი განათლების მიღებაა. მაგალითად, დევნილისთვის მაგისტრატურისა და დოტქორანტურის სწავლა იყოს უფასო, ბაკალავრიატის საფასური კი გაუნახევრდეთ. დევნილს ეცოდინება, რომ მისთვის ჯანდაცვა, განათლება და დასაქმება ხელმისაწვდომია და ასეთი მიდგომებით შეუმსუბუქდება პრობლემები. ეს ნაბიჯები რომ გადადგა, პრობლემას უნდა იცნობდე, დღეს კი გადართულნი არიან მხოლოდ ბინების საკითხზე...

სასტუმრო „ქართლში“ მყოფ ყველა დევნილს ბინები რომც მისცენ, ძალიან კარგი იქნება, მაგრამ ამით პრობლემა ბოლომდე ხომ არ მოგვარდება?

– მიუხედავად იმისა, რომ დევნილებს ბინებს ეტაპობრივად გადასცემენ, დღემდე მაინც მოუგვარებელია საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხი. რატომ?

– იმიტომ, რომ მიდგომა სპონტანურია და არა – გეგმაზომიერი. ამ პრობლემის მოგვარება ისე შეიძლება, რომ სახელმწიფოს თანხა საერთოდ არ დაეხარჯოს. მაგალითად, დეველოპერი, რომელიც აშენებს კორპუსს, იყოს ვალდებული, რომ ერთი სადარბაზო დაეთმოს დევნილებს. თუ ყველაფერი ეს, გეგმაზომიერად არ ხდება, კორუფციის ნიშნები ჩნდება...

– მეორე მხრივ, არსებობს მოსაზრება, რომ ზოგი დევნილი თაღლითობს და ერთის ნაცვლად, რამდენიმე საცხოვრებელს იღებს სახელმწიფოსგან. როგორ ფიქრობთ, ამაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო არაა?

– კი, არის ასეთი შემთხვევები, მაგრამ ძალიან მარტივია – ეს სახელმწიფო სტრუქტურამ უნდა გააკონტროლოს! თაღლითობს იმიტომ, რომ გასდის და რადგანაც სამინისტრო აძლევს ერთზე მეტ ბინას, ე.ი. დევნილთან ერთად, სამინისტროც თაღლითობს! მე, როგორც დევნილს, არასდროს, სახელმწიფოსგან არაფრით მისარგებლია, არც მომითხოვია, მაგრამ ხომ მეკუთვნის? – არ ვსარგებლობ, რადგან არ ვაკადრებ ჩემ თავს, საკუთარ თავს უზრუნველვყოფ, მაგრამ სახელმწიფოს ერთხელ ხომ მაინც უნდა მოვეკითხე, როგორც დევნილი?!

– 45-ლარიანი დახმარების შესაძლო დიფერენცირებულად გაცემას როგორ აფასებთ?

– დიფერენციაცია მარტივი მიზეზის გამო არ შეიძლება – ეს ადამიანები სახელმწიფო პოლიტიკის გამო გახდნენ დევნილები და არა – პირადი მიზეზისა და სახელმწიფო ვალდებულია, დაეხმაროს! მე, მაგალითად, დევნილთა დახმარებაზე ოფიციალურად უარი ვთქვი, რადგან არ მჭირდება. ეს პროტესტის ნიშნად გავაკეთე იმიტომ, რომ 1 200 ლარზე მეტი ხელფასი ვისაც აქვს, 45-ლარიანი დახმარება შეუწყდათ, რაც სისულელე იყო, რადგან მე თუ ვწვალობ და ვშოულობ ფულს, შენ რატომ მიწყვეტ დახმარებას? 1 200 ლარი ხომ არ ნიშნავს ჩემი პრობლემების მოგვარებას?! ამიტომ მაშინ, პროტესტის ნიშნად, განვაცხადე, რომ თუ სახელმწიფოს უჭირს, ამ ფულს არ მივიღებ-მეთქი და ამის გამო, ახლა დევნილის სტატუსიც აღარ მაქვს. მაშინდელ მინისტრებს თითო ლარი დავუნიშნე „დახმარების“ მიზნით და ყოველთვე ვუგზავნიდი... მაშინ, 2015 წელს, დევნილებმა ამ პრობლემაზე ხმა არ ამოიღეს იმიტომ, რომ შეეშინდათ, ბინას არ მომცემენ და ფულს წამართმევენო. ღიად მხარი არავინ დამიჭირა და ახლაც ასეა...

– სიმბოლურადაც მნიშვნელოვანია, რომ სანამ სახლში დაბრუნდებიან, ყველა დევნილს აუცილებლად ერიცხებოდეს კომპენსაცია, არა?

– რა თქმა უნდა... მნიშვნელოვანია, რომ თანხის ნაწილი გადაირიცხოს დაზღვევაზე, რათა ექიმთან ვიზიტისას, დევნილს ხარჯის 80% აუნაზღაურდეს...

– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ გირჩის ლიდერის, იაგო ხვიჩიას ინიციატივას, რომ დევნილებს ოკუპირებულ ტერიტორებზე დარჩენილი ქონების გასხვისების უფლება მიეცეთ?

– არ მინდა, უშვერი სიტყვები გამოვიყენო... მოწეული ჰქონდა, ალბათ და იმიტომ გააკეთა ეს განცხადება. ამ საკითხს კომენტარსაც კი არ გავუკეთებ!

– ბატონო პაატა, მინდა, აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებზეც ვისაუბროთ. ინალ არძინბა აფხაზეთში, საერთაშორისო პროექტების განხორციელებას კრძალავს და ამის მიზეზად იმას ასახელებს, რომ ყველაფერმა, შესაძლოა, ქართველ და აფხაზ ახალგაზრდებს შორის, პირდაპირი დიალოგის გზა გახსნას. ამაზე რას იტყვით?

– ინალ არძინბას შესახებ არაერთხელ მისაუბრია. მოკლედ ვიტყვი, რომ ესაა სურკოვის თანაშემწე, დონბასი-ლუგანსკის პროექტის ავტორი კრემლში. ეს ადამიანი აფხაზეთში კრემლმა დანიშნა დე-ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრად იმიტომ, რომ გახადოს დე-ფაქტო პრეზიდენტი. ორი წლის გასვლას ელოდებიან, რომ 35 წლის გახდეს და გააფორმოს ანექსია. ესაა ადამიანი, რომელმაც ხელი უნდა მოაწეროს აფხაზეთის მიერთებას რუსეთთან. ამას ვამბობ მას შემდეგ, რაც ის აფხაზეთში დაინიშნა, მაგრამ ჩვენი ხელისუფლება ყურს არ იბერტყავს. პირდაპირ ვამბობ: მზადდება ანექსია! ეს განცხადებებიც, სწორედ საერთაშორისო პროექტების მოსპობას ემსახურება აფხაზეთში.

– გასაგებია, მაგრამ ყველაფერ ამას, აფხაზი ახალგაზრდობა მარტივად ეგუება?

– ახალგაზრდები იმდენად არა, რამდენადაც უფროსი ასაკის ხალხი... მეომრები უწევენ წინააღმდეგობას იმიტომ კი არა, რომ საქართველოსთან უნდათ ურთიერთობა, მაგრამ არც რუსეთთან უნდათ, მათ დამოუკიდებლობა სურთ. ახალგაზრდები, ფაქტობრივად, რუსეთისკენ არიან გადახრილნი, რადგან სწავლისა და დასაქმების მხრივ, რუსებმა ეს თემა „დაალაგეს“.

თათია გოჩაძე, 598-43-50-34

რა მიზანს ემსახურება პატრიოტთა ალიანსის მიერ შექმნილი 40-სუბიექტიანი პოლიტიკური გაერთიანება

გოჩა ჯოჯუა: „დასავლეთის საქართველოსადმი მხარდაჭერა არაჯეროვანია!“

პატრიოტთა ალიანსის ინიციატივით, საქართველოში ახალი პოლიტიკური გაერთიანება შეიქმნა, რომელშიც 40 ორგანიზაცია გაწევრიანდა: 1. საქართველოს პატრიოტთა ალიანსი – დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი; 2. ქრისტიანი-დემოკრატები – გოჩა ჯოჯუა; 3. დემოკრატთა ალიანსი – სალომე მოსიძე; 4. მემარცხენე ალიანსი – სოსო შატბერაშვილი; 5. ეროვნული ერთიანობის პარტია – გიორგი ჭინჭარაული; 6. მონარქისტული პარტია – ირაკლი კობრავა; 7. ნეიტრალური საქართველო – ვალერი კვარაცხელია; 8. სოციალური სამართლიანობისთვის – მამუკა ტუსკაძე; 9. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია – ავთანდილ ველითაური; 10. სამეფო გვირგვინი – ვაჟა აბაშიძე; 11. ქართული მარში – სანდრო ბრეგაძე; 12. მსოფლიოს ქართველ ემიგრანტთა ალიანსი (მალე გარდაიქმნება ქართველ ემიგრანტთა პარტიად) – ნანა გოგალაძე; 13. საქართველოს პარლამენტარები – თამაზ დაუშვილი, ოთარ ჭითანავა, ზურაბ ქველაძე, ამირან ტაკიძე, ნანა დევდარიანი, გიორგი ლომია, გოჩა თევდორაძე, ვაჟა ოთარაშვილი; 14. გენერალიტეტი – გურამ ნიკოლაშვილი; 15. ვეტერანთა ლეგიონი – მალხაზ თოფურია; 16. ვეტერან სამხედრო ექიმთა კავშირი – ლაშა ქოიავა; 17. საქართველოს ვეტერანთა ფედერაცია – ირაკლი შიხიაშვილი; 18. ჟურნალისტები სამართლიანობისათვის! – გიორგი კასრაძე; 19. ახალგაზრდა პატრიოტები – დავით აბაშიძე; 20. ახალგაზრდა ლიდერთა ერთობა – ანა სახვაძე; 21. ახალი თაობა პოლიტიკაში – ირაკლი ცხადიაშვილი; 22. საქართველოს განათლების ლიგა – მანანა ნიკოლაიშვილი; 23. პროფესორთა ლიგა – მამუკა კარტოზია; 24. დევნილთა სამოქალაქო ორგანიზაცია – ნაურ ჯიქია; 25. ეროვნულ უმცირესობათა მოძრაობა – ურუზმაგ ქარქუსოვი; 26. ოს ქალთა საერთაშორისო ასოციაცია – იზოლდა ტიგიევა; 27. მუსლიმანი და ქრისტიანი ძმები საქართველოს ერთიანობის დასაცავად – არჩილ ლეკიშვილი; 28. მთის განვითარების კავშირი – მარინა მოლოდინი; 29. მოძრაობა „დიპლომატები მშვიდობისათვის“ – ოთარ ჭითანავა; 30. სახალხო დიპლომატია – ნინო ანდრონიკაშვილი; 31. მოძრაობა სამართლიანობისთვის – სამველ პეტროსიანი; 32. ანტიმონოპოლური კავშირი – ხვიჩა წკეპლაძე; 33. ექიმთა და ფსიქოლოგთა კავშირი – ჯუმბერ ბოლღაშვილი, ნინო კვარაცხელია; 34. მწერალთა და პოეტთა კავშირი „დიაოხი“ – ერეკლე საღლიანი, ეკა კვანტალიანი; 35. მხატვარ-მოქანდაკეთა გაერთიანება – ბუდუ სირბილაძე, ნიკო ხერკილაძე; 36. საზოგადოებრივი გაერთიანება შემოქმედთა უფლებების დაცვის კავშირი – იმედა კახიანი, ოთარ მაღრაძე; 37. ქართული კულტურის ცენტრი – ნათია გამრეკლიძე; 38. სპორტსმენთა ლიგა – მამუკა აფციაური; 39. საქართველოს პარაკარატეს ეროვნული ფედერაცია – გიორგი კაკაბაძე; 40. კიოკუშინ კარატეს ფედერაცია – გოჩა კაკაბაძე.

„ვერსია“ გაერთიანების ერთ-ერთ მონაწილეს, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ლიდერ გოჩა ჯოჯუას ესაუბრა:

– გაერთიანების მიზანი იმას ეხება, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება – პოლიტიკა მხოლოდ ორ პოლიტიკურ ძალას შორის ურთიერთობის გარკვევამდე დავიდა. ამიტომ ყველა ხვდება, რომ აუცილებელია გარკვეული ცენტრის შექმნა, რადგან ცალკეულ ოპოზიციურ პარტიებს არ ძალუძთ ძირეული ცვლილებების გამოწვევა, საჭიროა გაერთიანება, რასაც მივესალმები და ვეცდები, ხელშემწყობი გავხდე.

– ეს მესამე პოლიტიკური ძალის შექმნის მცდელობა ხომ არაა?

– რამდენად შეძლებს ამას ეს გაერთიანება, გამოჩნდება. პირველი ნაბიჯი გადაიდგა, რათა გარკვეული ველი შეიქმნას რიგგარეშე არჩევნებსა და პოლიტიკურ ქმედებებთან დაკავშირებით, გასაერთიანებლად. თითქმის ყველა ვთანხმდებით, რომ მიუხედავად ჩვენი განსხვავებული პოლიტიკური გემოვნებისა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს რუსეთთან ურთიერთობის საკითხს. ჩვენ ვართ ერთადერთი ქვეყანა, რომელიც რუსეთთან ზავის მდგომარეობაშია და რომელიც არ ცნობს ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას. ასე რომ, ამ ქვეყანასთან რა ურთიერთობა შეიძლება გვქონდეს – ეს საკითხი შეიძლება, გარკვეულად წყალგამყოფი იყოს ამ გაერთიანებაში, თორემ ყველა იმ საკითხზე ვთანხმდებით, რომ ქვეყანაში არჩევნები გაყალბდა, პოლიტიკურ კრიზისში ვიმყოფებით და არჩევნებია ერთადერთი გამოსავალი.

– როგორც ამბობთ, ამ გაერთიანების წყალგამყოფი საგარეო კურსი ანუ რუსეთთან ურთიერთობაა. პირადად თქვენი პოზიცია როგორია?

– ჩემი ხედვა ისაა, რომ დღეს რუსეთთან აუცილებლად სალაპარაკოა და დროშიც შეზღუდულები ვართ. სანამ უკრაინის პრობლემა არ მოგვარდება, ისე ვართ, როგორც ჯონჯოლი სუფრაზე. საქართველო, უკრაინასთან ერთად, მხოლოდ დამატებით, მეორეხარისხოვან კონტექსტში მოიხსენიება, თორემ პრობლემა უკრაინასა და რუსეთს შორისაა და ასეთი სიტუაცია, შეიძლება, საქართველოსთვის ყველაზე მომგებიანი იყოს, რადგან საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც რუსეთთან იომა და საქართველო-რუსეთის ომის შემდეგ, კარგად გადახარშა და დასკვნები გამოიტანა რუსეთმა. ამ ომიდან დიდი გაკვეთილი გამოიტანა უკრაინამაც, ერთადერთი, ვინც ვერ იხეირა, მარტო საქართველოა. პარტნიორებისგან მეტს მოვითხოვდი და დღესაც, როცა ასეთი დაძაბული სიტუაციაა, თუკი პარტნიორი ხარ, კიდევ უფრო მეტი უნდა გააკეთო ჩვენთვის. ეს გაკვეთილი უკრაინამ, რუსეთმა, აშშ-მა და ევროპამ კარგად გამოიყენეს, ჩვენ კი ვერაფერში წაგვადგა. დღეს არის შანსი, რომ რუსეთთან სწორი პოზიცია დავიკავოთ. დღეს საუბარია ნეიტრალურ ურთიერთობაზე, რუსეთი ამბობს, რომ არ მოხდეს ნატო-ს გაფართოება აღმოსავლეთით. სინამდვილეში, საქართველო არც ერთ სამხედრო ბლოკში გაერთიანებული არაა და ნეიტრალურია, მაგრამ ჩვენს ტერიტორიაზე დგას რუსეთის საოკუპაციო ჯარი...

– სხვათა შორის, რუსეთის ამ ულტიმატუმის შემდეგ გაჩნდა იმედი, რომ შესაძლოა, სწორედ ახლა გაწევრიანდეს საქართველოს ნატო-ში...

– რას ლაპარაკობთ? არ ვიცი, ამას საქართველოს გარდა, სადმე თუ ამბობენ.

– დასავლეთიდან ოპტიმისტური განცხადებები კეთდება ამ საკითხზე, რუსეთის მიმართ კი მკვეთრად გამწვავდა აშშ-ისა და ნატო-ს წარმომადგენლების პოზიცია...

– გთხოვთ, ჩვენ რაც გვსურს, ის კი არ მოვისმინოთ, არამედ, ის გავაანალიზოთ, რასაც რეალურად ამბობენ. უკრაინაზე როცა მიდის საუბარი, ნატო-ში პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი აშშ ამბობს, რომ თუკი მოხდება რუსეთის მსხვილმასშტაბიანი შეჭრა ანუ საუბარია არა ლუგანსკსა და დონეცკზე, არამედ, მსხვილმასშტაბიან ოპერაციაზე სხვა რაიონებშიც, ამ შემთხვევაში, სანქციებს ავამუშავებთო...

– ბატონო გოჩა, ბოლო გამოსვლისას, ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ უკრაინაში შეჭრა რუსეთისთვის კატასტროფა იქნება და ამასთან, დასავლეთმა რუსეთის მიმართ ტონი მკვეთრად გაამწვავა. ამაზე მარტო მე კი არა, თითქმის მთელი მსოფლიო საუბრობს...

– და რა რეაქცია მოჰყვება დასავლეთის მხრიდან რუსეთის შეჭრას? სანქციები?

– მათი განცხადებით, რეაქცია იქნება იმის შესაბამისი, თუ რა მასშტაბის ქმედებას განახორციელებს რუსეთი... მოდით, ისევ შიდაპოლიტიკურ საკითხს დავუბრუნდეთ...

– გეუბნებით, რომ ასეთ სიტუაციაში, აქვს შანსი საქართველოს, რომ პროცესი პრობლემების მოგვარებისკენ დაიძრას...

– რა ნაბიჯებს გულისხმობთ, მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია, როგორ წარმოგიდგენიათ, საქართველოსა და რუსეთს შორის საუბრის დაწყება?

– სწორედ ამ პირობებში უნდა ხდებოდეს, ოკუპირებული რომაა, თორემ ჩვენს ქვეყანას რომ არ ეხებოდეს, სულ სხვა იქნებოდა... პირველ რიგში, ჩვენ უნდა ვიყოთ დაინტერესებულნი, რომ დიალოგი შედგეს. მინსკის ხელშეკრულებაში იმაზეა საუბარი, რომ ლუგანსკსა და დონეცკს მიენიჭოს ფედერაციის სტატუსი ანუ ავტონომიები იგულისხმება. ჩვენთან რომ ამაზე იყოს ლაპარაკი, უდიდესი მიღწევა იქნებოდა, არადა, ესეც კი სანატრელია.

ჩვენ, შეიძლება, იმაზე დავიწყოთ ლაპარაკი, ჩვენს ტერიტორიაში, პირდაპირ იმ სტატუსით თუ არა, ყოველ შემთხვევაში, როგორ შეიძლება, აფხაზეთი და ცხინვალი აღმოჩნდეს ანუ გარკვეულ სამართლებრივ სივრცეში, ჩვენთან ურთიერთობაში...

– რუსეთს აფხაზეთისა და ცხინვალის დათმობა რომ უნდოდეს, საქართველოს ნაბიჯს დაელოდებოდა საუბრის დასაწყებად?

– და ჩვენ ვწყვეტთ რამეს?! აკრძალული გვაქვს საერთოდ რუსეთთან ლაპარაკი, მე ასეთი შთაბეჭდილება მრჩება. აგვისტოს ომის მერე, აგვიკრძალეს ეს...

– ვინ აგვიკრძალა?

– აკრძალული გვაქვს საუბარი რუსეთთან ამერიკელების გარეშე. შეგვიძლია, ამერიკელებს ვუთხრათ 1, რომ თუნდაც „3+3“ ფორმატში, სადაც ნატო-ს ერთი ქვეყანაა – თურქეთი, იქ დავსხდეთ, მოლაპარაკება დავიწყოთ და მათგან იმედი გვქონდეს, რომ ისინი დაგვეხმარებიან?

– ბატონო გოჩა, გეოპოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, საქართველო რუსეთთან პირისპირ შეიძლება დაჯდეს მოლაპარაკებაზე, დასავლეთის თანდასწრების გარეშე? ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ეს არ შეიძლება, მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებულია და სწორედ ამიტომ არ ურჩევენ საქართველოს „3+3“ ფორმატში მონაწილეობას...

– და რატომ ვერ დაჯდება, რა უშლის ხელს? იმის არ იყოს, ნატო-ში იმიტომ არ გვიღებენ, რომ ნაკლები დემოკრატია გვაქვსო. იმ დემოკრატიულ ინსტიტუტებზე, რომლებიც მათი მხარდაჭერილი იყო, პასუხისმგებლობა არ აქვთ, გნებავთ, სააკაშვილზე და გნებავთ, ივანიშვილზე? – მათი პასუხისმგებლობა აქ საერთოდ აღარაა?! რა მივიღეთ საერთოდ, თურქეთში მეტი დემოკრატიაა, თუ ავღანეთში უფრო მეტი იყო?! 800 მილიონი დაიხარჯა ავღანეთში, გენდერული თანასწორობის პოპულარიზაციისთვის. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩემნაირი პარტნიორი ამერიკისთვის, რთულად ჯდება სალაპარაკოდ, რადგან მიმაჩნია, რომ მათ მაქსიმუმი არ გაუკეთებიათ. ქვეყნის ეკონომიკა ჩამონგრეულია, აღარ არსებობს და რომელ დახმარებაზეა ლაპარაკი?! რაზეა საუბარი, რომ არ დავრჩეთ რუსეთთან პირისპირ და რას ვხედავთ, ამ ქვეყანას რამეში ეტყობა, რომ ფეხზე დგას?! დამექცა ქვეყანა, საქართველოდან ადამიანები გარბიან და ვიღაც მეტყვის, რომ სუვერენიტეტია ეს?! სუვერენული სახელმწიფოსთვის შეიძლება მოითმინო გარკვეული პერიოდი, თორემ სუვერენულად მკვდარი და დაქცეული თუ ვიქნები, ამის აზრი მითხარით! დასავლეთის მხარდაჭერა არაჯეროვანია და ისეთი, რაც ჩემს ქვეყანას მისცემდა საშუალებას, რომ გაეძლო რუსეთის ზეწოლისთვის და ვერც ვუძლებ!

– მოდით, შიდაპოლიტიკას დავუბრუნდეთ, რას უნდა ველოდოთ თქვენი გაერთიანებისგან, საპროტესტო აქციებს, რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნით?

– ჯერ ვერ მოიძებნა შემაკავშირებელი მომენტი, ალბათ, მომწიფდება პროცესი... ლიბერალური ფრთა ცალკე გაერთიანდება და რამდენიმე პოლიტიკური ცენტრი იქნება... იგივე პროცესები მიდის, რაც მსოფლიოშია.

– მოკლედ, აქციებით არ აპირებთ პოლიტიკური გაზაფხულის გახსნას?

– ჯერ ვერა იმიტომ, რომ აქ სოციალური პრობლემები არაა მხოლოდ, ეს სიცოცხლისთვის ბრძოლაა ანუ უნდა მომწიფდეს სიტუაცია, რომ გაუსაძლისი მდგომარეობა, რომელიც არის, როგორ უნდა შევცვალოთ პოლიტიკოსებმა. როცა ვამბობთ, რომ რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნით გამოდით ქუჩაში, საზოგადოების დიდ ნაწილს ეს გააზრებული არ აქვს და ადამიანებმა უნდა დაინახონ, რომ პოლიტიკოსები შეძლებენ მათი ცხოვრების შეცვლას. ჯერჯერობით, ამას ვერ ხედავენ. ვფიქრობ, თანდათან წამოვა ის სოციალური პრობლემები, რის გამოც ურთულეს მდგომარეობაშია ეს ქვეყანა.

– მიზეზი, რის გამოც ოპოზიციას ხალხი ქუჩაში ვერ გამოჰყავს, ისიც ხომ არაა, რომ წლების განმავლობაში, ოპოზიციური პარტიები ვერაფერს ცვლიან და ადამიანებს ნდობა და იმედი უქრებათ? ხომ არ ფიქრობთ, რომ საზოგადოება ახალ პოლიტიკურ ძალას ითხოვს?

– ჰქონდათ ეს დაკვეთა და მგონი, მიიღეს... ახალი პარლამენტის თავმჯდომარეები და ლიდერები... ახალი რითი განსხვავდება ძველისგან? მივიდნენ იქამდე, რომ ახალი არაფერს ცვლის. მერე, საერთოდ პოლიტიკოსები არ უნდოდათ. ერთი პერიოდი, ჟურნალისტებმა გადაწყვიტეს, ახლა თქვენ გაჩვენებთ, როგორ უნდა საქმის გაკეთებაო! ესეც დამთავრდა და სჯობს, ამ ხალხმა ისევ ძველებს მიხედოს და უკეთ შეარჩიოს...

რა იცვლება საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე და რას ნიშნავს ელექტროენერგიის დღე-ღამის ტარიფები

მაკა რუხაძე

„ვერსიის“ წინა ნომერში უკვე გაგაცანით ის კანონპროექტები, რომლებიც 2022 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში. ერთ საგაზეთო სტატიაში ყველა კანონპროექტი ვერ განვიხილე, ამიტომ ვაგრძელებ თემას და დამატებით, იმ კანონპროექტებსაც გაგაცნობთ, რომლებიც წლის განმავლობაში, სხვადასხვა დროს ამოქმედდება.

კანონები, რომლებიც 2022 წლიდან ამოქმედდება

დავიწყოთ საჯარო მოხელეების ხელფასით, რაც საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 2022 წლის იანვრიდან გაიზარდა. უფრო ზუსტად, 1 იანვრიდან ხელფასი გაეზარდათ თავდაცვის ძალებსა და პოლიციაში დასაქმებულ პირებს, ასევე, მასწავლებლებს, სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალს, მანდატურებს, სოფლის ექიმებს, ექთნებს და სასწრაფო დახმარების სამსახურის ყველა თანამშრომელს. მთლიანობაში, საჯარო სექტორში 10%-იანი სახელფასო მატება დაფიქსირდა.

2022 წლის იანვრიდან, 70 წლამდე პირთა პენსია 260 ლარის ოდენობით, ხოლო 70 წლის და მეტი ასაკის პირთათვის – 300 ლარის ოდენობით განისაზღვრა. რაც შეეხება მაღალმთიან დასახლებებს, პენსიის მოცულობა 70 წლამდე ასაკის პირთათვის – 312 ლარამდე, ხოლო 70 წლისა და მეტი ასაკის პირთათვის – 360 ლარამდე გაიზარდა. გარდა პენსიისა, იანვრიდან დახმარებების რაოდენობაც გაიზარდა. კერძოდ, მკვეთრად გამოხატული შშმ პირთა და 18 წლამდე შშმ პირთა ყოველთვიური სოციალური დახმარება – 25 ლარით, ხოლო ომში მონაწილე ვეტერანების ყოველთვიური 22-ლარიანი დახმარება – 100 ლარამდე გაიზარდა.

2022 წლის იანვრიდან, საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე სავალდებულო გახდა GDP და GMP სტანდარტების დანერგვა. შესაბამისად, წამლების მონიტორინგიც იანვრიდან დაიწყო. მედიკამენტების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ფარმაცევტულ დაწესებულებებს ახალი სტანდარტების დაკმაყოფილება მოუწევთ.

2022 წლის 1 მარტიდან, საქართველოში ელექტროენერგიის დღისა და ღამის ტარიფები ამოქმედდება. უფრო ზუსტად, საწარმოებს შესაძლებლობა ექნებათ, დღისა და ღამის საათებში, დენის განსხვავებული, დიფერენცირებული ტარიფით ისარგებლონ. ეს სერვისი საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის ამოქმედების შემდეგ გახდება ხელმისაწვდომი. რაც შეეხება ფიზიკურ პირებს, დროში დიფერენცირებული ელექტროენერგიის ტარიფით სარგებლობა მას შემდეგ შეეძლებათ, რაც მოსახლეობის მრიცხველები ე.წ. ჭკვიანი მრიცხველებით ჩანაცვლდება.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის – სემეკ-ის გადაწყვეტილებით, თბილისში მრიცხველთა წაკითხვის ერთიანი სისტემა ამოქმედდა. თბილისის ყველა აბონენტის მრიცხველს, კომპანია „თელმიკო“ ყოველი თვის ბოლო ოთხი დღის განმავლობაში „წაიკითხავს“. რაც შეეხება ელექტროენერგიის ქვითარს, მას მოსახლეობა ყოველი მომდევნო თვის პირველ რიცხვებში მიიღებს. შესაბამისად, ელექტროენერგიის გადასახადის გადახდა ქვითრის მომზადებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში იქნება შესაძლებელი.

ამასთან, დაწესდა გადახდის საშეღავათო პერიოდიც, რომლითაც პენსიონერები, სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული პირები და მრავალშვილიანი ოჯახები ისარგებლებენ. ელექტროენერგიის საფასურს პენსიონერები ყოველი თვის 16 რიცხვამდე, ხოლო სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახები – ყოველი თვის 22 რიცხვამდე გადაიხდიან. ამ ცვლილების შედეგად, ელექტროენერგიის საფასურის გადახდის ვადა, პენსიისა და სოციალური დახმარების მიღების ვადებს მოერგება.

სემეკ-ის გადაწყვეტილებით, 1 იანვრიდან, თბილისში მრიცხველთა წაკითხვის ერთიანი სისტემა ამოქმედდა. კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ინფორმაციით, ამ ცვლილების შედეგად, მოსახლეობა კომუნალური მომსახურების ქვითარს ყოველი მომდევნო თვის პირველ რიცხვებში მიიღებს.

1 იანვრიდან, 15-წლიანი სავალუტო იპოთეკური სესხები აიკრძალა, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებაა. ახალი წესით, ლარში გაცემული იპოთეკური სესხის, ან იმ შემთხვევაში, თუ მსესხებლის შემოსავალი და სესხი ერთსა და იმავე ვალუტაშია – სესხის მაქსიმალური ხანგრძლივობა არაუმეტეს 20 წელი, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული იპოთეკური სესხის, ან იმ შემთხვევაში, თუ მსესხებლის შემოსავალი და სესხის ვალუტა ერთმანეთისგან განსხვავდება – არაუმეტეს 10 წელი იქნება.

2022 წლის იანვრიდან, კომუნიკაციების სფეროში, კომპანიებს ახალი წესების დაცვა მოუწევთ. უფრო ზუსტად, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით, კომუნიკაციების კომისიამ ახალი რეგლამენტი მიიღო, რომლითაც ყველა აბონენტს ხარისხიანი და უსაფრთხო საკომუნიკაციო მომსახურების საშუალება მიეცა. ახალი რეგლამენტით, მომხმარებელს არჩევანის სრული თავისუფლება აქვს, თავად გადაწყვიტოს, ვისგან შეიძენს სატელეკომუნიკაციო მოწყობილობას – მისთვის ხელსაყრელი საფასურითა და პირობებით. კომპანიებს ასევე ეკისრებათ ვალდებულება მომსახურების პირობის ცვლილების შესახებ მომხმარებელს 10 სამუშაო დღის ნაცვლად, ერთი თვით ადრე მიაწოდოს ინფორმაცია. გარდა ამისა, ახალი რეგლამენტით, მომხმარებლების თანხმობის გარეშე, ვერცერთი კომპანია ახალ სერვისებს ვეღარ გააააქტიურებს.

2022 წლის 1 თებერვლიდან, თბილისში, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას აბონემენტის სისტემა ამოქმედდება. შესაბამისად, მგზავრობის 90-წუთიანი ბარათი – 1.00 ლარი, ერთდღიანი ბარათი – 3.00 ლარი, ერთკვირიანი – 20.00 ლარი, ერთთვიანი – 40.00 ლარი, სამთვიანი – 100.00 ლარი, ექვსთვიანი – 150.00 ლარი, ხოლო ერთწლიანი – 250 ლარი ეღირება. ამასთან, მგზავრებს შესაძლებლობა ექნებათ, გადახდის სისტემიდან მათთვის სასურველი პაკეტი აირჩიონ. ერთჯერადად მგზავრობის შემთხვევაში, ახლა მოქმედი 0.50 ლარის ნაცვლად, ტარიფი 1.00 ლარი იქნება. ამასთან, მომავალი წლიდან, ყვითელი მიკროავტობუსები სრულად ჩანაცვლდება და თბილისში, 18-მეტრიანი 200 ერთეული ახალი ავტობუსი გამოჩნდება.

2022 წლის მარტიდან, მოპედების რეგისტრაცია სავალდებულო გახდება. „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონში ცვლილებები პარლამენტმა უკვე დაამტკიცა და პროექტის თანხმად, მოპედები მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებს გაუთანაბრდა. შესაბამისად, მათზეც იგივე მოთხოვნები გავრცელდება, რაც ნებისმიერი მექანიკური სატრანსპორტო საშუალებისთვისაა დადგენილი.

2022 წლის აპრილიდან, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები გამოცდის პრაქტიკული ნაწილი ორეტაპიანი გახდება. ეს ნიშნავს, რომ სავალდებულო გახდება რეალურ პირობებში – ქუჩაში მართვის მოწმობის გამოცდის ჩაბარება. მართვის მოწმობის ასაღები თითო გამოცდის რეალურ მოძრაობაში ჩაბარების საფასური კი 90 ლარი გახდება.

რა რეკომენდაციები არ შეასრულა სურსათის უვნებლობის სააგენტომ

აუდიტის ახალი სკანდალური დასკვნა

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური სურსათის უვნებლობით დაინტერესდა. უფრო ზუსტად, უწყებამ სურსათის უვნებლობის მიზნით, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები შეამოწმა და გაარკვია, რომ ამ ნაწილშიც, სერიოზული დარღვევებია. მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მავნე სურსათის მოხმარებით მიყენებული ზიანის თავიდან ასაცილებლად, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი აუცილებლად ეფექტიანი უნდა იყოს, როგორც ქვეყნის ტერიტორიაზე, ასევე, მის საზღვარზე. ჯერ კიდევ 2015 წელს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი ჩაატარა და შესაბამისი რეკომენდაციებიც გასცა. ამჯერად კი იმით დაინტერესდა, შესრულდა თუ არა ექვსიოდე წლის წინ გაცემული რეკომენდაციები და ხარვეზები გამოავლინა. ეს დარღვევები, სურსათის უვნებლობის სფეროში რისკის შეფასების, სახელმწიფო კონტროლის მართვის ელექტრონული პროგრამისა და აღმოჩენილი დარღვევების გასაჯაროების მიმართულებით არსებულ ხარვეზებს უკავშირდება.

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ რისკის შეფასების შედეგად და რისკის მმართველებთან კონსულტაციის საფუძველზე გაცემული რეკომენდაციები სურსათის უვნებლობის კონტროლის მნიშვნელოვანი ნაწილია, ვინაიდან სურსათისმიერი საფრთხეების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენის რისკების მართვის შესახებ გადაწყვეტილება დამოკიდებულია რისკის შეფასების შედეგებზე. შესაბამისად, მთლიანი პროცესის სტრუქტურიზებულად წარმართვა და ურთიერთდაკავშირებულ მხარეებს შორის სათანადო კომუნიკაცია გავლენას ახდენს პროექტის ინიცირების პროცესზე, რისკის შეფასებასა და რეკომენდაციების შემუშავებაზე.

„აუდიტის შედეგად, რისკის შეფასების საქმიანობასთან დაკავშირებით, რეგულირების ხარვეზები გამოვლინდა. კერძოდ, ნათლად არ არის განსაზღვრული შესაფასებელი საფრთხის ინიცირების ყველა შესაძლო ავტორი და ინიცირების თითოეულ შესაძლო პროცესში, ეტაპობრივად განსახორციელებელი ქმედებები; რისკის შეფასების ფარგლებში, რეკომენდაციების შემუშავების პროცესი ფორმალიზებული არ არის და არც გაცემული რეკომენდაციების შესრულების ორგანიზებაზე პასუხისმგებელი კონკრეტული სტრუქტურული ერთეულია განსაზღვრილი. რისკის შეფასების პროცესის ფორმალიზაციისთვის, საჭიროა, არსებობდეს ორგანიზაციულ დონეზე შემუშავებული პროცედურები, სადაც დოკუმენტურად და მკაფიოდ იქნება გაწერილი თითოეულ ეტაპზე განსახორციელებელი ქმედებები და მხარეთა უფლება-მოვალეობები. სურსათისმიერი საფრთხეების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენის რისკების სათანადო შეფასებისთვის, მნიშვნელოვანია, ეროვნულ დონეზე შესაბამისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების არსებობა. ამ მიმართულებით, ქვეყანაში არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები, კერძოდ, არ არის შემუშავებული მოსახლეობის მიერ სურსათის მოხმარების ანუ „ფაქტობრივი კვების“ შესახებ მონაცემები ეროვნულ დონეზე, რაც ხელს უშლის ექსპოზიციის სათანადო შეფასებას; რისკის მმართველის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემები, ხშირად არ არის თავსებადი რისკის შეფასებისთვის; სურსათით გამოწვეული დაავადებების შემთხვევები არ დასტურდება ლაბორატორიულად და მხოლოდ სავარაუდო მონაცემებია, რაც რისკის შეფასებისთვის გამოსადეგი არ არის“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, სურსათის უვნებლობის კონტროლის მნიშვნელოვანი ნაწილია ელექტრონული სისტემა, რომლის საშუალებითაც ხორციელდება შესამოწმებელი ობიექტების გეგმის შედგენა და ინსპექტირება-მონიტორინგის პროცესის მართვა. პროგრამა მოიცავს სახელმწიფო კონტროლის ყველა ელემენტს და მისი საშუალებით, კონტროლის პროცესი სრულად ელექტრონულია. სურსათის უვნებლობის მიმართულებით, სააგენტოს მიერ სახელმწიფო კონტროლის გაუმჯობესების მიზნით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯებისა და დანერგილი ელექტრონული სისტემის მიუხედავად, პროგრამას აქვს გარკვეული ხარვეზები, რომელთა გაუმჯობესების შედეგად შესაძლებელია პროცესის უფრო ეფექტიანად მართვა და გარკვეული რისკების შემცირება.

„კერძოდ, ელექტრონული სისტემის შესახებ საკმარისი ინფორმაციის პირობებში, შემცირდებოდა სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მართვის ელექტრონული პროგრამის შესახებ ინსტიტუციური ცოდნის დაკარგვის რისკი, რომელიც დაკავშირებული იქნება სისტემის ფუნქციონირების, გაუმჯობესებისა და მოვლა-შენახვის შესაძლებლობის შეზღუდვასთან. ასევე, სისტემაში არსებული საკმარისი კონტროლის მექანიზმები მონაცემთა დამუშავების სიზუსტისა და სანდოობის რისკებს შეამცირებდა“.

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ 2019-2020 წლებში, სააგენტოს მიერ ნიმუშების აღების შედეგად, სურსათში აღმოჩენილი სავალდებულო გასაჯაროებას დაქვემდებარებული 936 შემთხვევიდან, ინფორმაცია გამოქვეყნებულია შეუსაბამობის 288 ფაქტის შესახებ (31%), რომლებიც სრულად არ მოიცავენ პროდუქტის იდენტიფიცირებისა და მიკვლევისთვის საჭირო ინფორმაციას. ასევე, რიგ შემთხვევებში, ეს ინფორმაციები არ გასაჯაროვდა დროულად.

„არადა, ქვეყანაში სურსათის უვნებლობის კონტროლის მიმართ მომხმარებლებისა და დაინტერესებული მხარეების სანდოობის ზრდას ხელს შეუწყობდა ინფორმაციის გასაჯაროების შესახებ სტანდარტული ოპერაციული პროცედურების არსებობა, სადაც დეტალურად იქნებოდა გაწერილი დარღვევების გასაჯაროების კრიტერიუმები, ვადები, საზოგადოების გაფრთხილების მიზნით გამოქვეყნებულ განაცხადებში არსებული მონაცემები და სხვა. გარდა ამისა, უზრუნველყოფდა მომხმარებლებისა და დაინტერესებული მხარეების სანდოობის ზრდას, სტანდარტიზებულ და დასაბუთებულ მიდგომას სურსათში აღმოჩენილი დარღვევის თითოეულ შემთხვევაზე მომხმარებლის ინფორმირების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით და შეამცირებდა მავნე პროდუქტის მოხმარების რისკებს“.

მართალია, აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ სურსათის უვნებლობის სააგენტოს, სახელმწიფო აუდიტორების მიერ ექვსი წლის გაცემული რეკომენდაციები არ შეუსრულებია, მაგრამ ეს არაფერი – საჯარო უწყებების მთავარმა მაკონტროლებელმა საჭირო და აუცილებელი რეკომენდაციები არც ამჯერად დაიშურა.

„სისტემური, სრული, შესაბამისი და მეტად გამჭვირვალე სურსათისმიერი საფრთხეების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენის რისკის ანალიზის პროცესის განხორციელების მიზნით საჭიროა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოსა“ და სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ თანამშრომლობით, შემუშავდეს სტანდარტული საოპერაციო პროცედურები ან საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო დონეზე, მკაფიოდ განისაზღვროს სურსათის უვნებლობის სფეროში, რისკის ანალიზის პროცესში მონაწილე მხარეების უფლება-მოვალეობები და თითოეულ ეტაპზე განსახორციელებელი ქმედებები. პრიორიტეტული საფრთხეების იდენტიფიცირებისა და სურსათისმიერი საფრთხეების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენის რისკების სრული სქემით შეფასების სათანადო წინაპირობების შესაქმნელად, სამინისტრომ უზრუნველყოს ეროვნულ დონეზე მოსახლეობის მიერ სურსათის მოხმარების – „ფაქტობრივი კვების“ კვლევის ორგანიზება და გადადგას ქმედითი ნაბიჯები აღნიშნული კვლევის განსახორციელებლად“.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორების რეკომენდაციით, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ელექტრონული პროგრამის მომავალში უწყვეტად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, სსიპ „სურსათის ეროვნულმა სააგენტომ“ უნდა შეიმუშაოს, როგორც პროგრამული კოდის შესახებ დოკუმენტური ჩანაწერი, ასევე პროგრამის გამოყენების მეთოდოლოგია.

მეტიც, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანად და ობიექტურად მართვის მიზნით, „სურსათის ეროვნულმა სააგენტომ“ უნდა გააუმჯობესოს ელექტრონული პროგრამის კონტროლის მექანიზმები.

საფრთხე, რომელიც მოსახლეობას ლიფტებისგან ექმნება

ნია გრიგალაშვილი

რატომ არ ექცევა შესაბამისი ყურადღება გაუმართავ ლიფტებს

თბილისელების უმრავლესობა ისევ საბჭოთა კავშირისდროინდელ ლიფტებს იყენებს, რომელთა ექსპლუატაციის ვადა დიდი ხანია, ამოწურულია. სარემონტო და წყობიდან გამოსული ლიფტები მოსახლეობისთვის სულ უფრო მეტად საფრთხის შემცველი ხდება. ვინ აკონტროლებს ამ საკითხს და რატომ არ ექცევა შესაბამისი ყურადღება იმ მექანიკურ ტრანსპორტს, რომელსაც ყოველდღიურად ვიყენებთ და რომელმაც შეიძლება, ადამიანის სოცოცხლე საფრთხის ქვეშ დააყენოს? „ვერსია“, პირველ რიგში, თბილისის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა, რომ მერიაში არ არსებობს ზედამხედველობის კონკრეტული სამსახური, რომელიც ლიფტებს აკონტროლებს, თუმცა ლიფტის რეაბილიტაციის შემთხვევაში, კორპუსის თავჯდომარემ თავისი რაიონის გამგეობას უნდა მიმართოს განცხადებით, რის შემდეგაც, გაივლის შესაბამის პროცედურებს და მიიღებს დაფინანსებას. მერიაში გვირჩიეს, რომ პროცედურებისა და დეტალების დასაზუსტებლად, რომელიმე რაიონის გამგეობას დავკავშირებოდით, რის შემდეგაც, „ვერსია“ გლდანის რაიონის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელს, მაკუნა აბუაშვილს ესაუბრა.

– მაკუნა, რა პროცედურების გავლაა საჭირო, რომ გამგეობის მხარდაჭერით, კორპუსში ახალი ლიფტი დამონტაჟდეს?

– საერთო სარგებლობაში არსებული ინფრასტრუქტურის სამუშაოები, როგორებიცაა, მაგალითად, ამორტიზებული ლიფტები, დაზიანებული სახურავები, წითელ ხაზებში მოქცეული შიდა წყალარინების ქსელი, კიბის რეაბილიტაცია გამგეობის „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამით ხორციელდება. იმისთვის, რომ გამგეობამ შეძლოს ლიფტის სრული რეაბილიტაცია, შესაბამისი წესის მიხედვით, ამხანაგობის თავმჯდომარემ უნდა მიმართოს გამგეობას.

– რამდენ ლიფტს ჩაუტარდა რეაბილიტაცია 2021 წელს, გლდანის რაიონში და სრულად აფინანსებს თუ არა გამგეობა ამ სამუშაოებს?

– აღნიშნული პროგრამით, 2021 წელს, გლდანის რაიონში 34 ლიფტი რეაბილიტირდა. გამგეობის მიერ, ეს სამუშაოები 100%-ით ფინანსდება და ლიფტებს სრული რეაბილიტაცია უტარდება. გამგეობის 100%-იანი დაფინანსების მიღების პარალელურად, საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურის (სახურავის, წყალარინების ქსელის, ლიფტის, სართულშუა ნაპრალების ამოვსება და შენობის გამაგრება) რეაბილიტაციის დროს, ამხანაგობა ვალდებულია, სამუშაოების ღირებულების 5% შეაგროვოს, ამხანაგობის ანგარიშზე განათავსოს და საერთო სარგებლობის ქონების მოვლა-პატრონობას მოახმაროს. რაც შეეხება კიბის, სადარბაზოს რემონტსა და რკინის კარის რეაბილიტაციას, ამ შემთხვევაში, ამხანაგობამ ანგარიშზე სამუშაოების ღირებულების 10% უნდა განათავსოს და აღნიშნული თანხა კვლავ საერთო ქონების მოწესრიგებას უნდა მოხმარდეს.

* * *

სახელმწიფო სამსახურებიდან მიღებული ინფორმაციის შემდეგ, ამ თემაზე, „ვერსია“ „საქართველოს ლიფტების კომპანიის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელს, ანა ცხადაძეს ესაუბრა.

– ანა, როდის დაარსდა „საქართველოს ლიფტების კომპანია“ და რა სახის მომსახურებას უწევთ ლიფტების მომხმარებლებს?

– ჩვენი კომპანია 2008 წლიდან ფუნქციონირებს. ვთანამშრომლობთ მსოფლიოს წამყვან ბრენდებთან, რომელთა ოფიციალური წარმომადგენელები ვართ საქართველოში. ჩამოგვაქვს და ვამონტაჟებთ ლიფტებს და ამწე მოწყობილობებს (ესკალატორები, ტრავოლატორები, სპეცლიფტები და ა.შ), მოთხოვნისამებრ, ვაგვარებთ ყველა საკითხს, რაც ლიფტს უკავშირდება. 2014 წელს, კომპანიამ შექმნა ლიფტის სერვისის ბრენდი „თბილისი ლიფტი“, რომელიც თანამედროვე მომსახურებას სთავაზობს მოსახლეობას. გვყავს 300-ზე მეტი აბონენტი, ვემსახურებით, როგორც ძველი, ისე ახალი, თანამედროვე ლიფტებით მოსარგებლეებს. ლიფტს სერვისი სჭირდება, მაგრამ აუცილებელი არ არის, კორპუსის თავჯდომარემ შემოიტანოს განცხადება. მთავარია, იყოს ის, ვისაც კორპუსის მცხოვრებლები ენდობიან ანუ ე.წ. პასუხისმგებელი პირი, ვისთანაც იკონტაქტებს კომპანია.

ახალი სერვისის განაცხადის მიღებიდან, მაქსიმუმ, ორ დღეში, ადგილზე ვუშვებთ ტექ-ჯგუფს, რომელიც ლიფტს ამოწმებს და მდგომარეობას აანალიზებს. ფასის შეთავაზება ხდება ლიფტის ბრენდის, სართულების რაოდენობის, დატვირთვის, მაცხოვრებლების რაოდენობის, ტექნიკური მდგომარეობისა და ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე. აბონენტები თვიურად იხდიან საფასურს, რაშიც შედის 24/7-ზე ქოლ-ცენტრის მომსახურება, ფუნქციონირებს სპეცნომერი – 16000, რომელზეც მოქალაქეს შეუძლია, 24 საათის განმავლობაში, ნებისმიერი აბონენტიდან, ბალანსის არქონის შემთხვევაშიც კი, უფასოდ დარეკოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია, ხოლო უკვე არსებულმა აბონენტებმა – ლიფტთან დაკავშირებული ტექნიკური დახმარება მიიღონ.

ლიფტში გაჭედვის შემთხვევაში, მაქსიმუმ 30 წუთში, დამხმარე ჯგუფი ადგილზე მივა. დაზიანების შემთხვევაში, ჯგუფის რეაგირების დრო, მაქსიმუმ, ორი საათია. თუ შესაძლებელია, იმ დღესვე ვაკეთებთ, უფრო სერიოზული პრობლემის შემთხვევაში, ხდება საფრთხის ლოკალიზება და დამკვეთთან შეთანხებით, ტექ-მომსახურების დაგეგმვა. ფასშივე შედის ყოველთვიური გეგმიური შემოწმება, მიუხედავად იმისა, შეფერხდა თუ არა ლიფტის მუშაობის ხარისხი. ფასები საკმაოდ მისაღებია, რაც ინდივიდუალურია ობიექტისა და ლიფტის მდგომარეობის მიხედვით.

ყველაზე მთავარი ისაა, რომ მოსახლეობა დაცულია და ლიფტის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი იურიდიული პირია. ყოველთვიურად მოწმდება ყველანაირი უსაფრთხოების სისტემა, რაც მგზავრების დაცულობას უზრუნველყოფს. ასევე, ჩვენმა კომპანიამ ხელშეკრულება გააფორმა ტექინსპექტირების სამსახურთან და ყოველ ახალ მომხმარებელს უფასო ტექინსპექტირებას ვთავაზობთ.

– როგორ აფასებთ ძველი ლიფტების გაუმართაობის საკითხს, რამდენად დიდი პრობლემის წინაშე დგას მოსახლეობა?

– მთელი საქართველოს მასშტაბით, დიდ ქალაქებში, სადაც კორპუსებია, საკმაოდ რთული ვითარებაა, ეს განსაკუთრებით თბილისში იგრძნობა. ოფიციალურად, 10 000-ზე მეტი ლიფტია რეგისტრირებული, მაგრამ რეალურად, ბევრად მეტია, აქედან 20%-იც არ იღებს აუცილებელ სერვისებს. ლიფტი მესამე კატეგორიის საფრთხის შემცველი ტრანსპორტია, რომელსაც ყოველთვიური შემოწმება და შესაბამისი სერვისი სჭირდება, რაც მოიცავს ქოლ-ცენტრს, ტექნიკურ მომსახურებას და ა.შ.

ფაქტობრივად, ლიფტი მოსახლეობის საკუთრებაა და თითოეული მოქალაქე ვალდებულია, იზრუნოს საკუთარ ლიფტზე. მერიასა და საკრებულოს მოხსნილი აქვს პასუხისმგებლობა, მაგრამ ზედამხედველობის სამსახური ქმედუუნაროა. სამ წელიწადში ერთხელ, ყველა ლიფტმა ტექინსპექტირება უნდა გაიაროს, ხოლო თუ არ აქვს გავლილი, მაშინ კორპუსის მაცხოვრებლებს ეკისრებათ ჯარიმა. აღნიშნული სისტემა, სამწუხაროდ, არ ფუნქციონირებს და ყველაფერი მოსახლეობის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

მეორე პრობლემა ისაა, რომ ხშირად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავჯდომარეები ინდივიდუალურ შეთანხმებას დებენ ე.წ. ლიფტიორებთან, რომლებიც არ არიან პროფესიონალები და იბრალებენ, რომ ერკვევიან ამ საკითხში, არ აქვთ 24-საათიანი ქოლცენტრი და ვერ ახორციელებენ შესაბამის სერვისს.

– რა არის გამოსავალი, როგორ უნდა იმოქმედოს ქალაქის მერიამ?

– პირველ რიგში, რაზეც ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს, ეს არის ცნობიერების ამაღლება. მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რეალურად, რა საფრთხის წინაშე დგას. ლიფტის გაუმართაობამ, შესაძლოა, ფატალური შედეგი გამოიწვიოს, რაც შეიძლება, ყოველდღიურად ემუქრებოდეს ადამიანს. მაგალითად, ის ლიფტი, რომელიც მთელი წლის მანძილზე არ ჩერდება, უფრო საფრთხის შემცველია, ვიდრე ის, რომელიც თვეში ერთხელ ჩერდება, რის გამოც, უსაფრთხოების სამსახურის გამოძახება გიწევთ. როდესაც ლიფტი ჩერდება, ესე იგი, დაცვის სისტემა აქტიურდება, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ რაღაც არ არის მწყობრში და შეკეთება ან რეაბილიტაცია სჭირდება.

ხშირ შემთხვევაში, მოქალაქეებმა არ იციან ლიფტის მოხმარების წესები და იმაზე მეტი წონის ტვირთი გადააქვთ, ვიდრე ლიფტი იტანს. ასევე, სამშენებლო მასალები, რომელთა ნარჩენებითაც ბინძურდება ლიფტის შახტა და აფუჭებს დანადგარს. რა თქმა უნდა, ქალაქის მერიამ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მოსახლეობას და აქტიურად უნდა დაიწყოს ტექნისპექტირების მოთხოვნა. მოქალაქემ უნდა იცოდეს, რომ რეალურად, საკუთარ უსაფრთხოებაში იხდის თანხას, როდესაც იღებს ლიფტის მომსახურებას, რაზეც მომსახურე კომპანია (იურიდიული პირი) იღებს პასუხისმგებლობას.

სამართალი

№3 26 იანვარი 2022 წ

„მე ჩერნობილში დამხვრიტეს“

რატომ ძალადობდა სიმსივნით დაავადებული ბიჭი ქალებზე

ბათო ჯაფარიძე

1986 წლის 26 აპრილს, უკრაინის ტერიტორიაზე მდებარე ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის მეოთხე ბლოკი აფეთქდა. ეს იყო ბირთვულ მოვლენათა საერთაშორისო შკალით მეშვიდე დონის ერთადერთი შემთხვევა ისტორიაში. დღემდე ჩერნობილი მიტოვებული ქალაქია, იქ შესვლას, რადიაციის გამო, ვერავინ ბედავს და, როგორც ამბობენ, არავინ იცის, ოდესმე თუ მოხდება, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ცხოვრება უსაფრთხო გახდეს. არადა, ავარიიდან მეორე დღესვე, საბჭოთა კავშირის მასშტაბით, აღნიშნული ინფორმაცია დაიბლოკა, ვერც უცხოურმა მედიამ გაიგო რამე, განგაში კი მხოლოდ მაშინ ატყდა, როცა რადიაციის დონემ საგრძნობლად აიწია და ეს მეზობელმა ქვეყნებმა დააფიქსირეს. პარალელურად, მთელი საბჭოთა კავშირიდან, ჩერნობილში, დაზარალებულთა დასახმარებლად არაერთი ადამიანი წაიყვანეს, თუმცა არ უთხრეს, რომ მუშაობა რადიაციის ქვეშ მოუწევდათ. ბევრი მათგანი მალევე დაიღუპა, ბევრი – შემდგომში, გართულებების შედეგად. საბჭოთა მანქანამ რიგითი ადამიანები, უბრალოდ, მოატყუა და ამას ათასობით მსხვერპლი მოჰყვა, თუმცა საბჭოეთისთვის დიდი მსხვერპლი, ძირითადად, სტატისტიკური მონაცემი იყო, ვიდრე – ტრაგედია. მთავარი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯი გახლდათ, ქვეყნის, სადაც არ ხდებოდა დანაშაული, ყველა ბედნიერად ცხოვრობდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, საბჭოთა კავშირში, სექსიც კი არ არსებობდა.

სავარაუდოდ, ასეთი მიდგომის გამო, საბჭოთა კავშირში ძალიან იშვიათად აკითხავდნენ საგამოძიებო უწყებას ის ქალბატონები, რომლებიც ძალადობის მსხვერლნი ხდებოდნენ. განსაკუთრებით, რუსეთში, სადაც გაუპატიურება ხშირად ხდებოდა, განცხადება კი არ შედიოდა, რადგან შემდეგ, სასამართლო პროცესზე, არავის სურდა საკუთარი ვინაობის გამხელა, მერე მეზობლები გაიგებდნენ, ნათესავები, თანამშრომლები... ამიტომ, მოძალადეებს იშვიათად იჭერდნენ და ამ მაჩვენებლით, საბჭოეთი მართლაც მოწინავე იყო. არადა, დამნაშავეებიც არსებობდნენ და დანაშაულსაც სჩადიოდნენ.

ჰოდა, ამ პირობებში, სამართალდამცავებს ძალიან გაუკვირდათ, როცა განყოფილებაში ახალგაზრდა გოგონა მივიდა და მაგიდაზე განცხადება დადო, გამაუპატიურესო. გოგოს აშკარად ეტყობოდა, რომ ძალიან გაბრაზებული და გამწარებული იყო, თითქოს შეგრძნება ჰქონდა, რომ მოერივნენ, ძალით აჯობეს. ამიტომ, კატეგორიულად ითხოვდა, დამნაშავე უნდა დავიჭიროთ, სახეც მახსოვს მისი და დეტალურად აღვწერო. მერე გაირკვა, დაზარალებული ქალთა კოლონიაში ზედამხედველად მუშაობდა, საბრძოლო ილეთებსაც ფლობდა, მაგრამ როგორც ამბობდა, თავდასხმა მოულოდნელი იყო. მას ახალგაზრდა მამაკაცმა საათი ჰკითხა, მერე – კიდევ რაღაც და მოულოდნელად ყბაში ძალუმად დაარტყა მუშტი. ქალმა გრძნობა დაკარგა, აზრზე რომ მოვიდა, რომელიღაც ხის ძირში ეგდო და ზემოდან ის ახალგაზრდა კაცი დახვნეშოდა. ყვირილს მეორე დარტყმა მოჰყვა, ამჯერად რკინის ნაჭერით და გოგო მეორედ გაითიშა. როცა ისევ მოვიდა აზრზე, ირგვლივ ვერავინ დაინახა, სკვერის სიღრმიდან, სადაც მოძალადემ შეათრია, გამოვიდა და პირდაპირ განყოფილებისკენ აიღო გეზი. შესაბამისი ექსპერტიზების შემდეგ, გოგო შინ გაუშვეს, სამართალდამცავებმა კი შემთხვევის ადგილი დაათვალიერეს, სადაც ვერაფერი ნახეს. მეორე დღეს ქალი დამშვიდებული მივიდა და ფოტო-რობოტის შედგენაში დაეხმარა სამართალდამცავებს, თან იმ ადგილებში სიარულს მოუხშირა, ჯიბეში გახსნილი დანა ედო, ჩემი ხელით უნდა დავკლა, თუ კიდევ გადამეყარაო.

გამოძიებისთვის სამწუხაროდ, არც ახალი შემთხვევა მოხდა და დამნაშავის კვალსაც ვერ მიაგნეს. ასე გავიდა ოთხი თვე, შემდეგ კი... გონდაკარგული ქალი იმავე სკვერში გამვლელებმა შემთხვევით იპოვეს და მილიციას და სასწრაფოს ერთად გამოუძახეს. რომ არა ეს შემთხვევა, შესაძლოა, მასაც არაფერი ეთქვა, საჩივრის დაწერაც არ უნდოდა, არადა, დანაშაული გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა იმას, რომელიც მანამდე მოხდა. ისევ გამოლაპარაკება, ისევ ყბაში მუშტი, ისევ გაუპატიურება... ფოტო-რობოტზე მეორე დაზარალებულმა მოძალადე ამოიცნო. სკვერში სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულმა სამართალდამცავებმა პატრულირება დაიწყეს, ერთი თვის განმავლობაში, გვიანობამდე რჩებოდნენ, მაგრამ ახალი არაფერი მომხდარა. სკვერის თვალთვალი შეწყდა და ორი დღის შემდეგ, მორიგი შემთხვევა მოხდა, თუმცა ამჯერად, მოძალადეს ხელი რიგითმა ადამიანებმა შეუშალეს და მან მორიგი მსხვერპლის მხოლოდ გათიშვა მოახერხა, შემდეგ კი, იძულებული გახდა, გაქცეულიყო.

პირველი დაზარალებული მილიციის შენობას ხშირად სტუმრობდა, თავის ამბავს კითხულობდა, დაკავებულების ფოტოებს ათვალიერებდა, ამბობდა, ამ საქმეს არ შევეშვები, ვინც უნდა იყოს, საფლავში ჩავყვებიო. ერთ-ერთი ასეთი ვიზიტის დროს, როცა მომხდარიდან ნახევარ წელზე მეტი იყო გასული, ქალი საგამოძიებოს უფროსის ოთახში გაფითრებული შევიდა და ხმის კანკალით თქვა – ჩემზე მოძალადე თქვენს განყოფილებაშია, თანამშრომლებს მეგობრულად ესაუბრება, ნამდვილად ის არისო. გამომძიებელმა გაოცებისგან პირი დააღო, კორიდორში გავიდა და სანამ რამეს იტყოდა, ქალი ვიღაც კაცს მიაფრინდა, მოულოდნელი მიხტომისგან ის წაიქცა, ქალმა კი სახეში მუშტები დაუშინა. როგორც იქნა, მოჩხუბრები გააშველეს, თუმცა ქალს ვერ აკავებდნენ, ამან გამაუპატიურაო. პირი, ვისაც ხელი დაადეს, განყოფილების ახალი თანამშრომელი იყო. უფრო ზუსტად, პრაქტიკა გაიარა აღნიშნულ განყოფილებაში, დღე-დღეზე, მუშაობა უნდა დაეწყო და ახალ სამსახურში თითქმის ყოველ დღე მოდიოდა, კითხულობდა, ჩემზე ბრძანება ხომ არ დაწერილაო. მან ძალიან მშვიდად შეხედა გაცოფებულ ქალს, შემდეგ მზერა გამომძიებელზე გადაიტანა და ასევე მშვიდად თქვა: „მართალს ამბობს, მე ვარ მოძალადე“. გაოცებისგან ყველამ პირი დააღო.

„მეხუთე კურსზე ვიყავი, როცა ჩერნობილის ტრაგედია მოხდა და დასახმარებლად მოხალისედ წავედი. იქიდან დაბრუნებულს, თავბრუსხვევები დამეწყო, მერე გავიგე რადიაციის შესახებ, შემდეგ, მამაჩემის კავშირებით, მოსკოვში ჩავიტარე კვლევა და მითხრეს, რომ რადიაციის გამო, ტვინის სიმსივნე მაქვს და ეს დაავადება ნელ-ნელა ბოლოს მომიღებს, გადარჩენის შანსი არ მაქვს. ამიტომ, საკუთარ თავს უარს არაფერზე ვეუბნები, არც დრო მაქვს, უაზრო ამბებში ვხარჯო, შებმის ნაცვლად, ქალებს ვთიშავ და სურვილს ვიკმაყოფილებ. მომეწონა ქალი, არის შანსი, რატომაც არა?! ახლა არ მითხრათ, დაგხვრეტთო, მე დამხვრიტეს უკვე, ჩერნობილში გამომიტანეს სასიკვდილო განაჩენი“, – განაცხადა ეჭვმიტანილმა.

მისივე თქმით, არც ახსოვდა, რამდენ ქალზე იძალადა, მაგრამ ციფრი აშკარად ორნიშნა იყო. საჩივლელად კი მხოლოდ ერთი მივიდა, მეორე – გამვლელებმა იპოვეს და იძულებული გახდა, ეჩივლა, თუმცა როგორც კი გაარკვია, რომ მოძალადე დააკავეს და სასამართლოზე უნდა გასულიყო, საჩივარი უკან გაიტანა. პარალელურად, მოძალადეც მიხვდა, რომ მასზე ერთადერთი ეპიზოდის გარდა, არაფერი ჰქონდათ და თუ ძალიან მოინდომებდა, ის ერთი ეპიზოდიც, ეგებ, გაუპატიურებად სულაც არ ჩაეთვალათ, თუმცა ქალს სამედიცინო ექსპერტიზა ჩატარებული ჰქონდა და სამედიცცინო დასკვნას ვერსად გაექცეოდა...

სასამართლომდე რამდენიმე დღით ადრე, ქალი, რომელმაც, პრაქტიულად, დამნაშავე დააკავა, განყოფილებაში მივიდა და ჩუმად თქვა, საჩივარი გამაქვსო. გამომძიებლებს მისი სიტყვების არ სჯეროდათ, რადგან ყველაზე მონდომებული სწორედ ეს ქალი იყო, სწორედ ის არ ისვენებდა, სწორედ ის მუშაობდა ყველაზე მეტს და იმ დროს, როცა დაკავებულისთვის კუთვნილი უნდა მიეზღოთ, სარჩელის გატანას აპირებდა. საგამოძიებოს უფროსმა ქალი ოთახში დაიმარტოხელა და რეალური მიზეზი ჰკითხა. გაჩნდა ეჭვი, რომ დაკავებულის მხარემ მას ფული გადაუხადა.

„არანაირი თანხა, როგორც გინდათ, სადაც გინდათ, იქ გადაამოწმეთ. მე ჩემს ქალობას არ ვყიდი, მაგრამ დედამისი იყო მოსული და მთხოვა, სიცოცხლის უკაანასკნელ დღეებს ციხეში თუ გაატარებს ჩემი შვილი, მეც მოვკვდები, უფლება მიეცი, გარეთ იყოსო. მეც დავფიქრდი, ექიმის დასკვნასაც გავეცანი, რომლის მიხედვითაც, მას მართლაც რამდენიმე თვე დარჩა და ამიტომ, სარჩელი გამაქვს, იცოცხლოს. ახალ დანაშაულს რომ არ ჩაიდენს, დედამისი შემპირდა, ყველგან თან წავყვებიო, მითხრა“, – განაცხადა ქალმა.

კანონი სენტიმენტებს არ სცნობს, ამიტომ სამართალდამცავები მეორე დაზარალებულს ეცნენ და საჩივარი ახლიდან დააწერინეს, რის საფუძველზეც, დაკავებულს ოთხწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა რეალურად, მან გისოსებს მიღმა ოთხი თვე იცოცხლა – „ჩერნობილის განაჩენი“ აღსრულდა.

ქალმა საყვარლის ცოლი დანით მოკლა

ბათო ჯაფარიძე

საზარელი კრიმინალური შემთხვევა, რომელსაც ბავშვი შეესწრო

ძალიან ძნელია, ბავშვის ნათქვამს დაეყრდნო, მით უმეტეს მაშინ, როცა საქმე სისხლის სამართლის დანაშაულს ეხება, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც საქმე სწორედ ბავშვების ჩვენების საფუძველზე გაიხსნა და მათ უშეცდომოდ დაასახელეს დანაშაულის ჩამდენი ადამიანები. თუმცა, ის ფაქტი, რომ ბავშვი დანაშაულს შეესწრო, უკვე უდიდესი სტრესია, ამიტომ ძნელია, ის აალაპარაკო და მით უმეტეს, სასურველი რამ ათქმევინო, თანაც ისე დეტალურად, რომ ეს ნათქვამი სასამართლოსთვის დამაჯერებელი აღმოჩნდეს.

1982 წელს, გუდაუთაში, მეზობლის ჭიშკარს პატარა გოგონა მიადგა. მეზობლის ქალი ეზოში სარეცხს ფენდა, ბავშვი მაშინვე იცნო და გაუკვირდა, მშობლების გარეშე, 4 წლის გოგოს, თან საღამო ხანს და თანაც ამ სიშორეზე (ბავშვი მშობლებთან ერთად, დაახლოებით, ნახევარი კილომეტრის მოშორებით ცხოვრობდა), აქ რა უნდაო. ქალი გზაზე გავიდა, ქუჩას გახედა, ვერავინ დაინახა და უფრო გაოცდა. ბავშვს ხელი მოჰკიდა და მისი სახლისკენ გზას გაუყვა, თან ფიქრობდა, როგორ წაეჩხუბებოდა ბავშვის დედას, შვილის უყურადღებოდ დატოვების გამო. ჯერ ჭიშკარი შეაღო, მერე – სახლის კარი და მაშინვე ტელეფონს ეცა – მილიციაში დარეკა. დიასახლისი სამზარეულოს შესასვლელთან ეგდო, მკერდიდან კი დანის ტარი მოუჩანდა. ადგილზე, მილიციის თანამშრომლებზე ადრე, მოკლულის ქმარი მივიდა, ბოლო ხმაზე ღრიალებდა, თან ბავშვს იხუტებდა. სასწრაფოს თანამშრომლებმა გვამთან ერთად, საავადმყოფოში ბავშვის წაყვანაც დააპირეს, გოგონა ხმას ვერ იღებდა – ისე ჩანდა, მკვლელობას უშუალოდ შეესწრო და შოკი ჰქონდა.

ბავშვი საავადმყოფოში მამამ წაიყვანა და მცდელობის მიუხედავად, გზაზე სიტყვაც ვერ დააცდენინა – გოგონა უაზრო თვალებით ერთ წერტილს მიშტერებოდა და ხმას არ იღებდა.

„ქალის მკვლელობა ყოველთვის განიხილებოდა, როგორც უმძიმესი დანაშაული. პრაქტიკულად, არ ჰქონდა მნიშვნელობა, ეჭვიანობის ნიაადაგზე იყო ჩადენილი მკვლელობა, თუ სხვა რამის გამო – ქალი სუსტი სქესის წარმომადგენელი და სიცოცხლის გამგრძელებელია. შესაბამისად, ასეთი საქმეები მუდმივად განსაკუთრებულ კონტროლზე გვქონდა და არ გამკვირვებია, როდესაც გუდაუთაში მომხდარი მკვლელობიდან სამ საათში, აფხაზეთის გზას დავადექი. იქაური კოლეგებისგან ვიცოდი, რომ მტკიცებულებები თითქმის არ გვქონდა, ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, როგორ ივაჟკაცებდნენ ექიმები და როგორ მოახერხებდნენ გოგონას აზრზე მოყვანას“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავებმა, ყოველი შემთხვევისთვის, ოჯახის უფროსის ალიბი გადაამოწმეს, რომელიც მყარი აღმოჩნდა – მკვლელობის დროს, თათბირზე იმყოფებოდა. მას ერთ-ერთი საამქროს ხელმძღვანელის პოსტი ეკავა და ქალაქში ბოლო პოზიციებზე ნამდვილად არ იყო. უფრო მეტიც, მისი ბედით მოსკოვშიც კი შეწუხდნენ. მოკლული ქალის ქმარი რუსეთის დედაქალაქში მივლინებით ხშირად დადიოდა და როგორც ჩანს, გავლენიანი სანაცნობო იქაც ჰყავდა. ერთი შეხედვით, სამართალდამცავთა მხრიდან მკაცრი კონტროლისა, ე.წ. შავი სამყაროს წარმომადგენლები მაინც ახერხებდნენ საქმოსნებისთვის ფულის წაგლეჯვას, ამიტომ გაჩნდა ვერსია, რომ გარდაცვლილის ქმარმა არ გადაიხადა და შესაძლოა, შური ამ გზით იძიეს, თანაც თუ ეს ვერსია გამართლდებოდა, სხვებისთვის კარგი მაგალითი იქნებოდა.

გამომძიებლებმა ამ მიმართულებით დაიწყეს მუშაობა და გაარკვიეს, რომ გარდაცვლილის ქმარს ე.წ. კანონიერ ქურდებთან ყველაფერი დალაგებული ჰქონდა, გარკვეულ თანხასაც იხდიდა და მისი ცოლის მკვლელს შავი სამყაროც ეძებდა. საგულისხმო იყო ის ფაქტიც, რომ მკვლელობა შემთხვევითი არ გახლდათ და არც გაქურდვის მიზნით იყო ჩადენილი. მკვლელმა შინიდან არაფერი წაიღო და ეს მაშინ, როცა მარტივად შეეძლო, მაგალითად, ძვირფასი ვიდეომაგნიტაფონის წაღება, რომელიც იმ დროისთვის, 2 ათას მანეთზე მეტი ღირდა და იშვიათ ნივთს წარმოადგენდა.

„მოულოდნელი ცნობა მივიღეთ. მამაკაცმა საავადმყოფოში შვილი მოინახულა, ექიმებს უთხრა, რომ მისთვის მიეხედათ და სანამ თავად არ მიაკითხავდა, არავისთვის გაეტანებინათ. თავად კი გეზი მოსკოვისკენ აიღო და სანამ იმას გავარკვევდით, სად დაბინავდა, მოსკოველმა სამართალდამცავებმა ის თავგატეხილი იპოვეს. პრინციპში, რაღა თავგატეხილი, მამაკაცს ისე ძლიერად ჩაარტყეს, რომ თავის ქალის ძვლები დაემტვრა, ურთულესი ოპერაცია გაუკეთეს და უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ექსპერტთა დასკვნით, მამაკაცს თავში ქვა ჩაარტყეს და ეს ქალმა გააკეთა, რადგან ქვაზე მანიკურის ლაქის ნაწილაკები ნახეს. დაიწყეს საეჭვო ქალის ძებნა, მაგრამ რად გინდა, მოსკოვში ამბობდნენ, რომ მამაკაცი ყოველ ჩასვლაზე სხვადასხვა ქალს ხვდებოდა, სასტუმროში, რომელიც მივლინებით ეკუთვნოდა, არასდროს ჩერდებოდა. ეჭვმიტანილთა წრე იმდენად დიდი იყო, რომ გამოძიებას აზრი არ ჰქონდა, მით უმეტეს, ზოგი გათხოვილი გახლდათ და ქმარი ძლევამოსილი ჩინოვნიკი იყო, მათ დაკითხვას სამდივნოს ქალების ჭორების დონეზე კი ვერავინ მოახერხებდა. ჭორი არ იყო მტკიცებულება, ხოლო ქალბატონები ამორალურ ცხოვრებას (მაშინ ასე ეძახდნენ) კატეგორიულად უარყოფდნენ. რაც მთავარია, გამომძიებლებს არც იმის სჯეროდათ, რომ გამოჯანმრთელებული კაცი იტყოდა რამეს და ჩვენებას მისცემდა. ის, უბრალოდ, იტყოდა, სამსახურის გადაუდებელ საქმეზე წავედი მოსკოვში და თავში ვინ ჩამარტყა, არ ვიციო. მას რომ საკუთარი ეჭვების ოფიციალურ დონეზე გადამოწმების სურვილი ჰქონოდა, მოსკოვში წასვლის ნაცვლად, სამართალდამცავებს დაუჯდებოდა და ჩვენებას მისცემდა.

ამასობაში, გუდაუთის საავადმყოფოში ერთ-ერთმა ექთანმა მცირე სასწაული მოახდინა. ის მუდმივად ესაუბრებოდა შოკურ მდგომარეობაში მყოფ გოგონას და იმდენი მოახერხა, ბავშვი კითხვებზე თავის დაქნევით, ან გაქნევით პასუხობდა. ეს უკვე დიდი რამ იყო და ამიტომ, გამომძიებლებმა მასთან ფსიქოლოგი შეუშვეს. ჯერ მთავარი ის იყო, გაერკვიათ, დაინახა თუ არა ბავშვმა მკვლელი, იცნო თუ არა და მხოლოდ ამის შემდეგ მოესინჯათ ბავშვისთვის იმის თქმა, ჰქონდა თუ არა მკვლელს რაიმე დამახასიათებელი ნიშანი. ფსიქოლოგი ოთახიდან სამი საათის მერე გამოვიდა და თქვა: „ბავშვმა მკვლელი დაინახა, მკვლელი ქალია, ამ ეტაპზე, დამახასიათებელი ნიშნები ვერ გაიხსენა“...

ერთადერთი, რასაც შესაძლებელი იყო გამოძიება ჩაბღაუჭებოდა, ის გახლდათ, რომ მოსკოვის შემთხვევაშიც, ქალი ფიგურირებდა და ორიდან ერთი საქმე მაინც რომ გაეხსნათ, მკვლელს დააკავებდნენ.

„მოსკოვში რამდენიმე ქალის დაკითხვა მოვახერხეთ, მაგრამ მხოლოდ ისეთების, რომლებსაც არც გავლენიანი მფარველი ჰყავდათ და არც გათხოვილები იყვნენ. შინაგანი რწმენით ვხვდებოდი, რომ ჩვენს მიერ დაკითხულები არ იყვნენ მკვლელები, მაგრამ იმავე რწმენითა და ინტუიციით, დარწმუნებული გახლდით, რომ მკვლელი სწორედ იქ, მოსკოვში უნდა მეძებნა, თუმცა ხელ-ფეხი მქონდა შეკრული და იმას ვცდილობდი, როგორმე, დანარჩენი ქალბატონების ოფიციალურად დაკითხვის თუ არა, გასაუბრების უფლება მიმეღო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

არაერთი მცდელობის მიუხედავად, მაღალჩინოსნების ცოლების დაკითხვა ვერ მოხერხდა, რადგან არავის სურდა აღიარება, რომ ქმარს ღალატობდა. ზოგადად, არც ქმრებს სურდათ იმის სააშკარაოზე გამოტანა, რომ შესაძლებელი იყო, შინ მოღალატე ცოლები ჰყავდათ. ამასობაში, ხსნა იქიდან მოვიდა, საიდანაც არავინ ელოდა – ფსიქოლოგმა ბავშვთან შესვლის ნება ითხოვა, თან სახატავი რვეული და ფერადი ფანქრები შეიტანა. მან ბავშვს სთხოვა, დაეხატა ის დეიდა, რომელმაც დედა მოუკლა. ბავშვმა ფანქრები აიღო და ხატვა დაიწყო. დახატა ცისფერი კაბა, წითელი ფეხსაცმელი, ხოლო როდესაც თავი უნდა დაეხატა, გაჩერდა და ფსიქოლოგს ძლივს გასაგონად უთხრა: – „მე არ ვიცი, თეთრი თმები როგორ დავხატო“. ამით გასაგები გახდა, რომ მკვლელი ძალიან ღია ფერის თმას ატარებდა, რომელიც ბავშვმა თეთრად აღიქვა. ეს რაღაც იყო, მაგრამ მოსკოვში ქერათმიანი ქალის ძებნა უაზრობა იყო, ამას ფსიქოლოგიც ხვდებოდა და ის იყო, ექსპერიმენტი უნდა შეეწყვიტა, ბავშვმა თავი მოხაზა, ერთი თვალი ყვითელი ფერის ფანქრით დახატა, მეორე – ლურჯით. ფსიქოლოგმა ხელი ჩაიქნია, 4 წლის ბავშვის ფანტაზიად ჩათვალა, თუმცა გოგონამ ისევ ჩუმად თქვა: – „დეიდას სხვადასხვა ფერის თვალები ჰქონდა“.

ჰეტეროქრომიის სინდრომი – ეს არის შემთხვევა, როცა ადამიანს სხვადასხვა ფერის თვალები აქვს. ასეთი კი იმ ქალთა შორის, რომლებთანაც მამაკაცს ნაცნობობა აკავშირებდა, მხოლოდ ერთი იყო. ის სასწრაფო წესით დააკავეს და ისიც დაადგინეს, რომ ორსულად იყო. შემდეგ უკვე ყველაფერი მარტივად წარიმართა – მამაკაციც გამოვიდა კომიდან და როცა საყვარლის დაკავების შესახებ გაიგო, ჩვენებაც მისცა.

„ვადასტურებ, რომ ამ ქალთან სასიყვარულო ურთიერთობა მქონდა. როცა ბოლოს ჩავედი, მთხრა, ცოლად მომიყვანე, ორსულად ვარო, მე კიდევ ვუპასუხე, რომ ცოლს ვერ დავტოვებდი. სავარაუდოდ, სწორედ მაშინ გადაწყვიტა ჩემი ცოლის მოკვლა. რა თქმა უნდა, ეჭვი მასზე ავიღე და მოსკოვში ჩამოვედი, შემხვდა და როცა ვუთხარი, მკვლელს ცოლად არ მოვიყვან-მეთქი, მივტრიალდი და მერე აღარაფერი მახსოვს“, – განაცხადა მამაკაცმა.

ჩვენება ქალმაც მისცა, მკვლელობა აღიარა და... სასამართლომ მას 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ბავშვი ციხეში დაიბადა და ის დედას მაშინვე დააშორეს. როგორც წესი, ასეთ ბავშვებს საბჭოთა კავშირის დროს აშვილებდნენ და სასჯელის მოხდის შემდეგ, დედები შვილებს, უბრალოდ, ვეღარ პოულობდნენ.

ბათო ჯაფარიძე

სამწუხაროდ, იყო დრო, როცა საქართველოში დანაშაული ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა და დამნაშავე ხშირად დაუსჯელი რჩებოდა. 90-იანი წლების გარიჟრაჟზე, იარაღით დადიოდა ყველა და სამართალდამცავებიც ვერაფერს ეუბნებოდნენ. არაერთი შემთხვევა ყოფილა, როცა მკვლელობაში ეჭვმიტანილი განყოფილებიდან მეგობრებს იარაღის მუქარით გაუყვანიათ და მილიციისთვის მკაცრი გაფრთხილებაც მიუციათ, მეორედ აღარ დაიჭიროთო. სამართალდამცავებიც ფრთხილობდნენ და მაქსიმუმს აკეთებდნენ, რათა თავადაც გადარჩენილიყვნენ და როგორმე, ქვეყანაშიც წესრიგი დაემყარებინათ. პრაქტიკულად, ყველა უბანში არსებული „საძმოები“ იმაზე კარგად იყვნენ შეიარაღებულნი, ვიდრე სამართალდამცავები და ამიტომ, მათთან ომს აზრი არ ჰქონდა. ცოდვა გამხელილი სჯობს – როცა „უპატრონო“ დამნაშავეს იჭერდნენ, ცდილობდნენ, მომხდარი და გაუხსნელი ყაჩაღობები, ან ქურდობები „შეეტენათ“, სანაცვლოდ კი დაკავებულს მოსალოდნელზე მსუბუქ სასჯელს ჰპირდებოდნენ. ამით გამომძიებლები ათობით გაუხსნელ საქმეს იცილებდნენ თავიდან.

შურისძიება ქალებზე

ვინ მოკლა მამაკაცი, რომელიც გოგონებს სახეზე დანას უსვამდა

ირგვლივ საშინელება ტრიალებდა. იყო შემთხვევები, როცა მილიციის თანამშრომლებმა ზუსტად იცოდნენ, ვინ ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ ვერ აკავებდნენ. იმ თანამშრომლებზე, რომლებიც კრიმინალების პარპაშს ვერ ეგუებოდნენ, არცთუ იშვიათად მომხდარა ჩასაფრება და ლიკვიდაციის მცდელობებიც ბევრი იყო, რამდენიმე მათგანი კი, სამწუხაროდ, მკვლელობით დასრულდა.

სწორედ იმ პერიოდში, ერთი თვის განმავლობაში, თბილისის საავადმყოფოებს ახალგაზრდა ქალებმა მიმართეს. მათ ერთი დამახასიათებელი ნიშანი ჰქონდათ – სახეზე, ლამის, მთელ სიგრძეზე ეტყობოდათ იარები. მათი მონაყოლით გაირკვა, რომ ღამით, უცხო მამაკაცი დაესხათ თავს და სახეზე დანა რამდენჯერმე დაუსვა. ეს არ იყო მკვლელობის მცდელობა, რადგან მკვლელი დანას სხვა მიმართულებით გამოიყენებდა, უფრო სახის დამახინჯების სურვილს ჰგავდა. ექიმები ვალდებულნი იყვნენ, მილიციაში დაერეკათ და რეკავდნენ კიდეც. სამართალდამცავებმა საქმეები გააერთიანეს, მაგრამ გოგონებს შორის კავშირი ვერ აღმოაჩინეს. ისინი არათუ ერთი უბნიდან არ იყვნენ, არამედ, ერთმანეთს არ იცნობდნენ და საერთო ნაცნობებიც კი არ ჰყავდათ, ამიტომ მათ გარემოცვაში თავდამსხმელის ძებნა უაზრობა იყო.

არც ჩასაფრება გამოვიდოდა, რადგან დანაშაული თბილისის სხვადასხვა უბანში მოხდა და მათ შორის კავშირიც ვერაფრით დადგინდა, თანაც თუ ერთ შემთხვევაში, ქალს მეტროსთან ახლოს დაესხნენ, მეორე შემთხვევაში – მეტრო არაფერ შუაში იყო, ზოგს კორპუსთან დახვდნენ, ზოგს – სკვერთან. თავდამსხმელი ხმას არ იღებდა, ქალებს უკნიდან ეპარებოდა, მიწაზე აგდებდა, მერე ერთ ხელს ყელზე უჭერდა, მსხვერპლს რომ არ დაეყვირა და დანას, მინიმუმ, სამჯერ უსვამდა. ჭრილობები ძირითადად ლოყებსა და ტუჩ-ნიკაპის მიდამოებში ჰქონდათ.

თანამედროვე მედიცინის პირობებში, ნებისმიერი იარის გაქრობა შეიძლება, მაშინ კი ღრმა ნაიარევი რჩებოდა და დაზარალებული ქალები იძულებულები იყვნენ, ქუჩაში სახეზე თავსაფარშემოხვეულებს ევლოთ. ისინი არ იყვნენ კრიმინალების ცოლები, დები თუ მეგობარი გოგონები, ვინმეს რომ შური ეძია, ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანები გახლდნენ, ყოველდღიური პრობლემებითა და საზრუნავით.

დაზარალებულებიდან ორმა მოახერხა, რომ თავდამსხმელს მკლავზე შეეხო და ორივე ამტკიცებდა, არანორმალურად დიდი კუნთები ჰქონდა, შეუძლებელია, კაცს ასეთი კუნთები ჰქონდეს, თუ სპეციალურად არ ვარჯიშობსო. ჰო, რაც მთავარია, გაუპატიურების მცდელობა არ ყოფოლა, წელს ქვემოთ და მკერდზე თავდამსხმელი ქალებს არც კი ეხებოდა, გამოჩნდებოდა, მიწაზე დააგდებდა, ყელში ხელს წაუჭერდა, შემდეგ დანით დასერავდა და სანამ მსხვერპლი მიხვდებოდა, რა მოხდა, გარბოდა.

გოგონებმა ისიც გაიხსენეს, რომ კაცს ზოლიანი მაისური ეცვა, ხოლო ერთ-ერთმა დაბეჯითებით თქვა, მეზღვაურის მაისური ეცვა, ზუსტად ასეთი, ჩემს ძმას მეზღვაურმა მეგობარმა აჩუქაო. ბედის ირონიით, მაშინ დედაქალაქში, ასეთი მაისური იშვიათობა იყო და თუ ვინმეს ჰქონდა, აუცილებლად აჩენდა იმიტომ, რომ... ერთგვარ მოდად ითვლებოდა და საკმაოდ ძვირიც ღირდა. უფრო ხშირად, ასეთი მაისურებით, სხვადასხვა კრიმინალურ დაჯგუფებებში გაერთიანებული ადამიანები დადიოდნენ და სამართალდამცავებმაც მათი შესწავლა დაიწყეს, თანაც მაისურის გარდა, ჰქონდათ ერთი მნიშვნელოვანი მინიშნებაც – ძალიან დიდი კუნთები, რაც ასევე, კრიმინალთა შორის, მაშინ დიდი იშვიათობა იყო. რა კუნთები, იმჟამინდელი კრიმინალების მთავარი ატრიბუტიკა დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში – მზის სათვალე, კისერზე შემოხვეული ბენდენა და სიგარეტი იყო.

სამინისტროში გაფართოებული თათბირი ჩატარდა და სავარაუდო დამნაშავის აღწერილობა, პრაქტიკულად, ყველა განყოფილებას დაურიგეს. მილიციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა გაიხსენა, რომ ზუსტად ასეთი აღწერილობის ადამიანი ერთ-ერთი დაჯგუფების ლიდერის დაცვაში მუშაობდა. ლიდერს მინისტრის მოადგილე კარგად იცნობდა და მასთან შეხვედრა გადაწყვიტა. მოსმენილმა კრიმინალური დაჯგუფების ლიდერი (შემდეგ, ის ბიზნესმენად ჩამოყალიბდა, არცთუ დიდი ხნის წინ გარდაიცვალა და ლამის, ნახევარმა საქართველომ დაიტირა) მოსმენილით გაოცდა და დაპირდა, გავაკონტროლებ, თუ ანალოგიურ რამეს სჩადის, პირადად დავსჯი, გვერდში ქალებზე მოძალადე არ მჭირდებაო (?!). არადა, მისი დაჯგუფება ერთ-ერთი, ყველაზე სასტიკი იყო და ძირითადად, რეკეტითა და ყაჩაღობით ირჩენდა თავს, მათთვის არც მკვლელობები იყო უცხო და ამიტომ, სამართალდამცავებმა თვალთვალი თავადაც დაიწყეს.

დაახლოებით, ორი კვირის განმავლობაში არაფერი მომხდარა. ეჭვმიტანილი, რომელსაც სამხედრო სავალდებულო სამსახური რუსულ არმიაში, სადესანტო დანაყოფში ჰქონდა გავლილი, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივად იქცეოდა, თუმცა შემდეგ მოხდა ისეთი რამ, რამაც დედაქალაქის მილიციის მთელი შემადგენლობა ფეხზე დააყენა. დაჯგუფების წევრები ერთ-ერთ დანგრეულ შენობასთან შეიკრიბნენ. ორი ოპერმუშაკი, რომელიც ყველაფერს შორიდან აკვირდებოდა, ფიქრობდა, რომ მათ, უბრალოდ, მორიგი გარჩევა ჰქონდათ, ან ახალ საქმეზე სასაუბროდ იყვნენ მისულები. მოულოდნელად, შენობიდან სწორედ ის ეჭვმიტანილი გამოვარდა, უკან ათამდე კაცი მოსდევდა. წინ მიმავალს სახიდან სისხლი სდიოდა, დანარჩენებს კი მართალია, ხელში იარაღი ჰქონდათ მომარჯვებული, არ ესროდნენ, უბრალოდ, ბოლო ხმაზე უყვიროდნენ, გაჩერდი, თორემ გესვრითო. გაქცეული არ გაჩერდა და სამართალდამცავებიც მას მიჰყვნენ. დიდი მონდომებისა და მცდელობის მიუხედავად, ისინი ეჭვმიტანილს ვერ დაეწივნენ, როგორც ჩანს, რუსულ დესანტში საკმაოდ კარგად ამზადებდნენ ფიზიკურად ადამიანებს. რა მოხდა, არავინ იცოდა და სავარაუდოდ, ვერც ვერავინ გაიგებდა, ეჭვმიტანილს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება რომ არ მიეღო – მილიციის განყოფილებაში თავის ფეხით მივიდა და მოითხოვა, დამაპატიმრეთო.

„ბავშვობაში ძალიან სუსტი ვიყავი და ამის მიუხედავად, მშობლები ცალკე ინგლისურზე მატარებდნენ, ცალკე – ცეკვაზე, ცურვაზე, ვილინოზეც კი. ყველგან იყვნენ ლამაზი გოგონები, რომლებიც უბრალოდ, დამცინოდნენ ჩემი აღნაგობის გამო. როგორც კი რომელიმეს ვეტყოდი, ან სახლამდე გაგაცილებ, ან ხაჭაპურზე და წვენზე დაგპატიჟებ-მეთქი, მაშინვე ისტერიულად იცინოდა და ხმამაღლა მეუბნებოდა, რომ მახინჯი ვიყავი, რომ ჩემთან ერთად, სასეირნოდ კი არა, საპირფარეშოშიც კი არ წამოვიდოდა. ყველაფერი ეს დაილექა და ამიტომ, როცა ჯარში მივდიოდი, მამას ვთხოვე, საკუთარი კავშირები გამოეყენებინა, რომ სადესანტო ნაწილში გავეშვი. თავიდან იქაც არ მიღებდნენ, თუმცა მერე ვარჯიშებზე თავს რომ არ ვზოგავდი, დამტოვეს. იქიდან სხვა კაცი დავბრუნდი, უზარმაზარი მასა, კარგად მომზადებული მებრძოლი. აქ რაც ხდება, კი იცით და როცა კრიმინალურ დაჯგუფებაში მივედი, დაცვაში ამიყვანეს. იმ ლიდერს დასაცავი არაფერი აქვს, იმიჯისთვის სურდა ჩემი გვერდით ყოფნა. ჰოდა, მერე ის გოგოები მოვძებნე, ლამაზებად რომ ითვლებოდნენ და სინამდვილეში, ვერაფერს მიაღწიეს. სახეზე დანასაც იმიტომ ვუსვამდი, რომ მიმხვდარიყვნენ – ერთადერთი რაც ჰქონდათ, ისიც დაკარგეს. არ ვიცი, ჩვენმა შეფმა საიდან გაიგო, მაგრამ მოკვლა დამიპირა, აქაოდა, იმიჯი შემილახე, ახლა ყველა ამბობს, რომ დაცვაში უმწეო ქალებზე მონადირე მყავსო. სახეზე დანა დამისვა და როცა გამოვრბოდი, მომაძახა, ვერსად დამემალებიო. მეც ვიცი, რომ ვერ დავემალები, ამიტომ მოვედი და გამასამართლეთ“, – ასეთი იყო დამნაშავის მონოლოგი.

სასამართლო მალე გაიმართა, მას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მაგრამ როგორც ჩანს, კრიმინალური დაჯგუფების ლიდერი სიტყვებს ჰაერზე არ ისროდა, რადგან სასამართლოს განაჩენიდან მალევე, ბიჭი ჯერ ციხის „რეზბალნიცაზე“ გადაიყვანეს, შემდეგ კი, ერთ-ერთ პალატაში, მოკლული იპოვეს. როგორც წესი, ციხის მაშინდელმა ადმინისტრაციამ მკვლელი ვერ იპოვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტრო, პირველ რიგში, გმობს ნებისმიერი სახის ძალადობას, უწყებისთვის კატეგორიულად მიუღებელია პოლიციელის მხრიდან ნებისმიერი ძალადობრივი ქმედება, რომელიც შესაძლოა არღვევდეს ადამიანის უფლებებს.

მედიასაშუალებებში, მიმდინარე წლის 24 იანვარს, გავრცელდა თბილისის მეტროპოლიტენში გადაღებული ვიდეომასალა, სადაც პოლიციელის მხრიდან შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტია ასახული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ვიდეომასალის გავრცელებისთანავე დაიწყო ფაქტის მოკვლევა, რომლის ფარგლებში მოპოვებული მასალები უკვე გადაუგზავნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა პოლიციელის მხრიდან ძალადობით უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით დაიწყო.

პოლიციამ უცხოელი ტურისტის მიმართ განხორციელებული იძულების ბრალდებით თბილისის ერთ-ერთი კლუბის თანამშრომელი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისის პროკურატურასთან ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისის ერთ-ერთი კლუბის თანამშრომელი, 1980 წელს დაბადებული ე.ჩ. იძულების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 14 იანვარს, თბილისის ცენტრალურ უბანში მდებარე ერთ-ერთი კლუბის თანამშრომელმა, ე.ჩ.-მ, ამავე კლუბის სტუმარს, გერმანელ ტურისტს, 1994 წელს დაბადებულ მ.ო.-ს, შეკვეთის შეუსაბამო თანხა იძულების გზით გადაახდევინა. კერძოდ, ბრალდებულმა მ.ო. აიძულა და შეკვეთილი ლუდის ღირებულების ნაცვლად, გაცილებით დიდი თანხა გადაახდევინა.

საქმეზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, პოლიციამ აღნიშნული კლუბი დალუქა, მოგვიანებით კი, ამავე კლუბის თანამშრომელი, ე.ჩ. ბრალდებულის სახით დააკავა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს იძულებას – ადამიანისთვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვას.

პოლიციამ თბილისსა და იმერეთში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია სამი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და იმერეთში, სხვადასხვა დროს, უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 1974 წელს დაბადებული, წარსულში არაერთგზის ნასამართლევი ი.მ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად, ცეცხლსასროლი პისტოლეტი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

რაც შეეხება მეორე პირს, 1989 წელს დაბადებული ი.გ. იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ხარაგაულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისთვის დააკავეს. პოლიციამ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, ბრალდებულის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო: „აკს“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 32 საბრძოლო ვაზნა.

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ასევე ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, ქუთაისში დააკავეს 1969 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ე.გ. მის საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოღებულია „მაუზერის“ მოდელის ცეცხლსასროლი პისტოლეტი და მჭიდი.

დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

პოლიციამ ქვემო ქართლსა და აჭარაში ნარკოდანაშაულისთვის სამი პირი დააკავა – ამოღებულია 3 კილოგრამამდე „ჰეროინი“ და სხვადასხვა სახის ნარკოტიკი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციისა და აჭარის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სხვადასხვა დროს, წარსულში ნასამართლევი სამი პირი: 1974 წელს დაბადებული მ.პ., 1986 წელს დაბადებული ა.მ. და 1967 წელს დაბადებული კ.გ. დააკავეს. მათ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვა ედებათ ბრალად.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მ.პ.-ის პირადი და დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, 3 კილოგრამამდე „ჰეროინის“ შემცველი ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღეს, ხოლო ა.მ.-ის პირადი ჩხრეკისას ამოღებულია 100 გრამამდე „ჰეროინის“ შემცველი ნარკოტიკი.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლების მიერ დაკავებული გ.კ.-ის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია: „ჰეროინის“, „ბუპრენორფინისა“ და „მეტადონის“ შემცველი ნარკოტიკები, ასევე, ფული.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს.

პოლიციამ ლაგოდეხში მომხდარი მკვლელობის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ლაგოდეხის რაიონული სამმართველოსა და დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი, ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, 1985 წელს დაბადებული გ.ბ. ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 13-იდან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა გ.ბ.-მ, ყოფილი მეუღლე, 1984 წელს დაბადებულ ნ.ჭ. ეჭვიანობის ნიადაგზე გაგუდა, რის შემდეგაც დანაშაულის დაფარვის მიზნით, საცხოვრებელ სახლში არსებული ბუნებრივი აირის გაზქურის ონკანი გახსნა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებების შედეგად გ.ბ. დააკავეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

როცა პრეზიდენტსაც არ სჯერა

ახალი სეზონის დაწყებამდე, ქართული კლუბები ძლიერდებიან და ფეხბურთელებს იმატებენ. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ფეხბურთელებს უშვებენ და იმატებენ, რამდენად ძლიერდებიან, ეს მერე გამოჩნდება. აგერ, თბილისის „დინამომ“ სერბი ფორვარდი, ზორან მარუშიჩი გაუშვა – ფეხბურთელი, რომელიც ახლახან დასრულებულ სეზონში ეროვნული ლიგის ბომბარდირი, საუკეთესო ფეხბურთელი და საუკეთესო ლეგიონერი გახდა. მან 17 გოლის გატანა და 9 საგოლე გადაცემის შესრულება მოახერხა, მაგრამ კარიერას... უზბეკეთის ჩემპიონატის მეექვსე ადგილოსან „ნავბაჰორ ნამანგანში“ გააგრძელებს. რატომ უნდა მიდიოდეს საქართველოს საუკეთესო კლუბიდან ფეხბურთელი უზბეკეთის იმ კლუბში, რომელიც არავის გაუგია? იმიტომ, რომ იქ მეტს უხდიან და აქედანაც კარგად ჩანს, რომ ქართულ ფეხბურთს ფინანსსები და რაც მთავარია, ამ ფინანსების სწორი ხარჯვა სჭირდება.

„ევროტურნირების დროს ზუსტად ვიგებთ, თუ სად არიან ჩვენი კლუბები. ბედნიერი არ ვარ იმით, რასაც ვხედავ. გასაგებია, შიდა ტრანსფერები მიმდინარეობს, თუმცა, სამწუხაროდ, არ მაქვს განცდა, რომ რაღაც განსაკუთრებული მოხდება. ეროვნულ ლიგაში კონკურენციაა, მაგრამ ძლიერი ლეგიონერების გარეშე, ვერც შიდა ჩემპიონატის დონეს ავწევთ და ევროტურნირებზეც ვერ მივაღწევთ იმას, რაც გვსურს. იმედია, ვცდები“, – ეს განცხადება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ლევან კობიაშვილმა გააკეთა.

რა ვიცით აბა, რა გითხრათ. ისე ჩანს, არსებულ სიტუაციაში კლუბები არ არიან დამნაშავეები, არც ფედერაცია და... ჩვენი ბრალი ყოფილა.

P.S. მას შემდეგ, რაც მარუშიჩის ტრანსფერის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია, „დინამოს“ სპორტულმა დირექტორმა, ალეკო რეხვიაშვილმა განაცხადა, რომ თბილისური კლუბი ფეხბურთელთან სამართლებრივ დავას იწყებს.

„სერბმა ფეხბურთელმა ცალმხრივად, თვითნებურად დაარღვია „დინამოსთან“ არსებული მოქმედი ხელშეკრულება. მიუხედავად თბილისურ კლუბთან მოქმედი კონტრაქტისა, ფეხბურთელმა მიიღო კარიერის უცხოეთში გაგრძელების გადაწყვეტილება და დადებული კონტრაქტის გარდა, დაარღვია ფიფას საერთაშორისო სამართლის ნორმები“, – განაცხადა რეხვიაშვილმა, რაც იმას ნიშნავს, რომ მარუშიჩს ფიფას მხრიდან, მინიმუმ, ფინანსური სანქციები ემუქრება.

ძიუდოისტები საფრანგეთისთვის დაირაზმნენ

28-30 იანვარს, პორტუგალიის ქალაქ ალმადაში, ძიუდოისტთა შორის, წლის პირველი ტურნირი გაიმართება. ნაკრების თავკაცმა, ლაშა გუჯეჯიანმა უკვე დაასახელა იმ ძიუდოისტთა გვარები, რომლებსაც პორტუგალიაში წაიყვანს, თუმცა მათგან ნაკრების პირველი ნომერი და წონის ლიდერი არცერთი არაა. საქმე ის გახლავთ, რომ 5-6 თებერვალს, საფრანგეთში, „პარიზის გრანდ სლემი“ იმართება, რომელიც დონით, ლამის, მსოფლიოს ჩემპიონატს უტოლდება და ამიტომ, უძლიერესი შემადგენლობაც იქ გაემგზავრება. საფრანგეთში წამსვლელთა სია ნაკრების მწვრთნელებმა უკვე ჩამოწერეს:

– 60კგ: ჯაბა პაპინაშვილი, თემურ ნოზაძე; -66 კგ: ვაჟა მარგველაშვილი, ბაგრატ ნინიაშვილი; -73 კგ: ლაშა შავდათუაშვილი, როსტომ ხახალეიშვილი; -81 კგ: ვლადიმირ ახალკაცი, ტატო გრიგალაშვილი; -90 კგ: ბექა ღვინიაშვილი, ლუკა მაისურაძე; -100 კგ: ილია სულამანიძე, ონისე სანებლიძე; +100 კგ: გურამ თუშიშვილი, გელა ზაალიშვილი.

დღეის მდგომარეობით (სტატია 25 იანვარს დაიწერა), ძიუდოისტთა ნაკრების 90% კოვიდინფიცირებული იყო, თუმცა ძალიან დიდი ალბათობით, ნაკრების წევრები „პარიზის გრანდ სლემისთვის“ გამოჯანმრთელებას მოასწრებენ, თუმცა სხვა საკითხია, რამდენად შეძლებენ ტურნირზე ჯეროვნად გამოსვლას, რადგან ვირუსის შემდგომ, ორგანიზმი დასუსტებულია.

ჭიკაძეს ბრძოლა გაურკვეველი ვადით აეკრძალა

კელვინ კატართან წაგებული ბრძოლის შემდეგ, გიგა ჭიკაძე ბრძოლებს გაურკვეველი პერიოდით ჩამოაშორეს. ამის შესახებ ოფიციალური განცხადებაც გავრცელდა და როგორც ირკვევა, ეს აკრძალვა ქართველი მებრძოლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მიიღეს. გიგას სერიოზული ტრავმები აქვს და გამოკვლევის სრული კურსი სჭირდება, რის შემდეგაც გადაწყდება, მისცემენ თუ არა მას ბრძოლის უფლებას.

სხვათა შორის, მარცხის მიუხედავად, ჭიკაძემ კატართან ბრძოლაში 165 ათასი დოლარი გამოიმუშავა. მასვე ეკუთვნის ქართველ მებრძოლთაგან ყველაზე ძვირადღირებული ბრძოლის გამართვა. წაგებულ შეხვედრამდე, გიგას ზედიზედ 7 ბრძოლა ჰქონდა მოგებული და სწორედ მეშვიდე ბრძოლის მოგების სანაცვლოდ, მას 220 ათასი დოლარი მისცეს.

რობინიოს 9 წელი მიუსაჯეს

ბრაზილიის ეროვნული ნაკრების, მადრიდის „რეალისა“ და „მილანის“ ფორვარდ რობინიოს რომის სასამართლომ 9-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბრაზილიელმა სუპერვარსკვლავმა სასჯელი აუცილებლად უნდა მოიხადოს, თუმცა...

რობინიოს ბრალად 22 წლის ალბანელი ქალის ჯგუფური გაუპატიურება ედება. მასთან ერთად, ბრაზილიის კიდევ ოთხი მოქალაქე გაასამართლეს და მათაც იგივე სასჯელი დააკისრეს. იტალიური მხარე ბრაზილიას კატეგორიულად სთხოვს რობინიოს გადაცემას, მაგრამ ბრაზილიელები ამბობენ, რომ ფეხბურთელს სასჯელს სამშობლოში მოახდევინებენ, რაც ნაკლებსარწმუნოა. იტალიელი სამართალდამცავები აპირებენ, რობინიოზე ძებნა ინტერპოლის წითელი ცირკულარით გამოაცხადონ და ასეთ შემთხვევაში, ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში, რობინიოს დააკავებენ. მედიის ცნობით, ფეხბურთელს მადრიდსა და მილანში ბიზნესი აქვს და შესაბამისად, ესპანეთსა და იტალიას ხშირად სტუმრობდა, თუმცა მომავალში, ბებერ კონტინენტზე ჩასვლისგან, სავარაუდოდ, თავს შეიკავებს.

მამარდაშვილი მეორე მეკარეც აღარ არის?

მიმდინარე სეზონი ქართველ ფეხბურთელთაგან ყველაზე წარმატებულად გიორგი მამარდაშვილისთვის დაიწყო. „ვალენსიას“ ძირითადი კიპერის, იასპერ სილესენის ტრავმის ფონზე, მწვრთნელი სწორედ გიორგის ენდო და ზედიზედ ექვს შეხვედრაში, „ღამურების“ კარს, სწორედ მამარდაშვილი იცავდა, თუმცა შემდეგ, ორი შეცდომა დაუშვა და მწვრთნელმა სათადარიგოთა სკამზე დასვა. მას შემდეგ, აგერ 16 ტური გაიმართა და ქართველს მოედანზე გასვლის შანსი ერთხელაც არ მისცემია. ამის მიუხედავად, „ვალენსიამ“ ჩვენებური თბილისის „დინამოდან“ ოფიციალურად გამოისყიდა და სამწლიანი კონტრაქტიც გაუფორმა.

ესპანეთის ჩემპიონატის გასულ ტურში, მატჩის მე-18 წუთზე, სილესენმა ტრავმა მიიღო და ყველა ელოდა, რომ მის ნაცვლად, კარში კვლავ მამარდაშვილი ჩადგებოდა, მაგრამ მწვრთნელმა მოედანზე გუნდის მესამე მეკარე, ხაუმე დომენეკი შეუშვა. ესპანური მედიის ინფორმაციით, მწვრთნელის გადაწყვეტილება სავარაუდოდ იმას ნიშნავს, რომ გიორგი „ვალენსიას“ მეორე მეკარეც აღარაა და ის დუბლიორის დუბლიორად ითვლება. არადა, ყველა აღიარებს, რომ მამარდაშვილს დიდი მომავალი აქვს და მას უბრალოდ მწვრთნელის მხრიდან მეტი ნდობა და პრაქტიკა სჭირდება. არადა, ბოლო ტურში, ხოსე ბორდალასმა გიორგი სამატჩო განაცხადში არ შეიყვანა, აქაოდა, ჭარბი წონა აქვს და ამიტომ თამაშის შესაძლებლობას ვერ მივცემო. როგორც გაირკვა, ეს ჭარბი წონა 200 გრამი ყოფილა ანუ აწონვამდე, გიორგის ერთი ჭიქა წყლით ნაკლები რომ დაელია, ყველაფერი რიგზე იქნებოდა. გამოდის, მწვრთნელი მიზეზებს ეძებს და ეს ჩვენი მეკარისთვის კარგი პერსპექტივა არ უნდა იყოს.

ფუტსალის ნაკრებმა ისტორია დაწერა

საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე პირველად მოხვდა და სადებიუტო შეხვედრაც გამართა. ჩვენი გუნდის მეტოქე აზერბაიჯანი იყო, რომელსაც ევროპაში, ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი ჰყავს და რეიტინგში მე-12 ადგილზეა. შესაბამისად, ჩვენი მეზობლები შეხვედრაში ფავორიტად მიიჩნეოდნენ და ეს სტატუსი საწყის წუთებში გაამართლეს კიდეც. აზერბაიჯანმა მძლავრად დაიწყო და ორბურთიანი სხვაობით დაწინაურდა. ამის შემდეგ, საქართველოს ნაკრებმა მობილიზება შეძლო და მეტოქეს სამი უპასუხო გოლი გაუტანა. საბოლოო ჯამში, საქართველომ ისტორიული მატჩი 3:2 მოიგო.

„გილოცავთ! ვიცი, რა სიხარულიც მოუტანა მოგებამ საქართველოს. გვჯეროდა ამ გამარჯვების და არაერთხელ ვთქვი, რომ საწყისი წუთები იქნებოდა ძალიან მნიშვნელოვანი. ევროპის ჩემპიონატზე პირველად ვასპარეზობდით და ეს ემოციური ფონი მოედანზე იგრძნობოდა. მთავარია, რომ ბიჭებმა ორი გაშვებული გოლის შემდეგ, სწრაფად მოახერხეს მობილიზება. გასახდელში ვილაპარაკეთ, თუ რა უნდა გაგვეკეთებინა მეორე ტაიმში. ვფიქრობ, ამ ბიჭებმა დაიმსახურეს და ჩვენთვის ისტორიულ მომენტში, პირველი 3 ქულა აიღეს“, – განაცხადა ფუტსალის ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, ავთანდილ ასათიანმა.

აზერბაიჯანის გარდა, ჯგუფში ჩვენი მეტოქეები ბოსნია-ჰერცოგოვინა და ესპანეთი არიან. ჯგუფის მთავარ ფავორიტად ესპანეთი ითვლება, რომელმაც პირველ ტურში, ბოსნია-ჰერცოგოვინა მარტივად დაამარცხა.

ემილი ფეიქრიშვილი

გამოაცოცხლა თუ არა თეატრები „მწვანე პასპორტების“ ამოქმედებამ

„სპექტაკლები ანშლაგებით მიმდინარეობს“

თითქმის ორი თვეა, საქართველოში „მწვანე პასპორტები“ მოქმედებს. მოქალაქეს მწვანე სტატუსი იმ შემთხვევაში ენიჭება, თუ: სრულად აცრილია; გადატანილი აქვს COVID-19 და ვირუსის დადასტურებიდან გასულია 14 დღე; ჩატარებული აქვს 72-საათიანი ვალიდურობის PCR ტესტი; ჩატარებული აქვს 24-საათიანი ვალიდურობის სწრაფი, ანტიგენ-ტესტი.
კინოთეატრებში, თეატრებში, ოპერაში, საკონცერტო დარბაზებში, გასართობ ცენტრებში, 18 წლის ასაკს ზემოთ მოქალაქეები, მხოლოდ „მწვანე პასპორტის“ პრინციპით შედიან. რა მდგომარეობაა თეატრებში მწვანე სტატუსის გააქტიურების შემდეგ? – „ვერსია“ მოზარდ მაყურებელთა თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერ თამია პაქსაშვილს ესაუბრა.

– „მწვანე პასპორტების“ ამოქმედების შემდეგ, რა მდგომარეობაა თეატრებში?

– „მწვანე პასპორტის“ შემოღების შემდეგ, მაყურებლის კლება შესამჩნევი ნამდვილად არაა. კოვიდსიტუაციიდან გამომდინარე, სპექტაკლებს ყოველდღიურად აღარ ვთამაშობთ. გვაქვს მხოლოდ სამი დღე – პარასკევი, შაბათი და კვირა. იმ რეგულაციების გათვალისწინებით, რაც სახელმწიფომ დააწესა, მაყურებელი დარბაზში ერთი ადგილის გამოტოვებით ჯდება. აქედან გამომდინარე, ბევრ სპექტაკლზე, ბილეთსაც კი ვერ იშოვის მაყურებელი, ისეთი ანშლაგით მიდის სპექტაკლები!

მაყურებლის ის სეგმენტი, რომელსაც „მწვანე პასპორტი“ არ აქვს, რა თქმა უნდა, დანაკლისია ნებისმიერი თეატრისთვის, მაგრამ კატასტროფული ვითარებაც არაა.

მართალია, თავიდან, ხალხის გარკვეული ნაწილი კრიტიკულად შეხვდა „მწვანე პასპორტს“ და ძალიან დიდი თავდასხმები იყო, მაგრამ უმრავლესობას მადლობას ვუხდი, რომ გაგვიგო და იმ რეგულაციებით მოქმედებს, რაც სახელმწიფომ დააწესა. აქ მხოლოდ „მწვანე პასპორტზე“ არაა საუბარი, მაყურებელს შეუძლია, შემოვიდეს PCR-ისა და სწრაფი ტესტითაც.

ბოლო დროს, პრემიერაზე, რამდენიმე ადამიანი იმ დღეს გაკეთებული ტესტითაც კი გვესტუმრა.

– „მწვანე პასპორტის“ დაშვების შემდეგ, გრძნობენ თუ არა თავს შედარებით უსაფრთხოდ მსახიობები და მაყურებლები?

– რა თქმა უნდა, მაყურებელი თავს უსაფრთხოდ გრძნობს, როდესაც რეგულაციის მიხედვით, სკამის გამოტოვებით სვამ და დამატებით, „მწვანე პასპორტსაც“ აკონტროლებ. ნაწილობრივ, ყოველივე ეს, უსაფრთხოების გარანტიაა.

რა თქმა უნდა, აცრილებსაც ემართებათ კორონავირუსი, მაგრამ აღნიშნული წესების დაცვით მოქმედება გაცილებით უსაფრთხოა. გარკვეულწილად, ფსიქოლოგიური ფაქტორიცაა და ამიტომ, მოვუწოდებ ყველას, რომ საკუთარი და სხვისი უსაფრთხოების გამო, აიცრას! გააკეთოს ის, რაც სახელმწიფომ დააწესა, რადგან თუ ამ ქვეყნის მოქალაქეები ვართ, მისი წესებით უნდა ვიმოქმედოთ!

– ფინანსური თვალსაზრისით, პრობლემები ხომ არ შეგექმნათ რეგულაციების გამო?

– რა თქმა უნდა. ორი წლით, ჩაკეტილები ვიყავით, რაც თეატრისთვის დიდი დარტყმა იყო. პირველი ორი წლის მანძილზე, გარკვეული დოზით, სახელმწიფო გვეხმარებოდა კომუნალურების დაფარვაში.

რაც შეეხება მესამე წელიწადს, ეს უკვე აღარ არის კოვიდწლად გამოცხადებული და, რა თქმა უნდა, გადასახადების გადახდა, ჩვეულებრივად, ჩვენ გვიწევს. კვირაში სამი დღე რომ თამაშობ, ბუნებრივია, ეს გავლენას ახდენს ეკონომიკური თვალსაზრისითაც, ამიტომ ფინანსები შემცირებულია.

კონკრეტულად „მწვანე პასპორტების“ შემოღების პერიოდშიც იკლო ფინანსებმა. შედარებაც არ არის, რადგან პანდემიის გამო, გარკვეული რეგულაციების შემდეგ, სხვა დატვირთვით ვმუშაობთ და პანდემიის შემდეგ, გადავედით შედარებით ნაკლებ დატვირთვაზე.

საყვარელი საკვები – ტუალეტის ქაღალდი

დიდი ბრიტანეთის ახალგაზრდა მცხოვრებმა აღიარა, რომ ყოველდღიურად, ერთ რულონ ტუალეტის ქაღალდს მიირთმევს. 25 წლის ჯეიდ სილვესტრი, 5 შვილის დედა აცხადებს, რომ ამ უჩვეულო პროდუქტის ჭამა ფეხმძიმობის მეორე თვეზე დაიწყო. ვერ ამიხსნია, ეს რატომ მოხდა. ძალიან მომწონს ქაღალდის ტექსტურა, უფრო მეტადაც კი, ვიდრე მისი გემო. მომწონს ამ სიმშრალის შეგრძნება პირში, – ამბობს ჯეიდი. ეს მისწრაფება არ გამქრალა ფეხმძიმობის შემდეგაც და უკვე ერთი წელიწადია, სილვესტრი ტუალეტის ქაღალდს მიირთმევს.

ამასობაში, მას ამ უჩვეულო ახირების საყვარელი სახეობებიც გაუჩნდა – ბრიტანელი უპირატესობას ანიჭებს იმ სავაჭრო მარკებს, რომლებსაც თავად სუპერმარკეტების ბრენდები უშვებენ. ეს უცნაური მისწრაფება აშინებს არა მხოლოდ ჯეიდს, არამედ, მის ახლობლებსაც, მაგრამ ამ მავნე ჩვევას ვერაფერს შველიან. თანდათანობით, სილვესტრი სულ უფრო მეტ ქაღალდს ჭამს, კმაყოფილება რომ იგრძნოს. მედიკოსები ამბობენ, რომ საკვებად უვარგისი პროდუქტის მოხმარება ფეხმძიმობისას საშიშია არა მხოლოდ დედისთვის, არამედ, მომავალი შვილისთვისაც. თუმცა, ბიჭი, რომელიც ჯეიდამ გააჩინა, სრულიად ჯანმრთელია.

ბამბის ბარი ტოკიოში

იაპონიის დედაქალაქის ცენტრში ბარი გაიხსნა, სადაც მსურველს შეუძლია, თავი მრთველის როლში მოსინჯოს და ბამბის ქულასგან ძაფი დაამზადოს. დაწესებულებაში Tokyo Cotton Village, ყველა კლიენტს უფასოდ ეძლევა ბამბა და სართავიც. მას შეუძლია, იჯდეს კაფეში და რამდენიც უნდა, სცადოს ძაფი დართვა, თან კოქტეილი ან ყავა მიირთვას. ოფისების უამრავი თანამშრომელი შედის ამ დაწესებულებაში კვირაში რამდენჯერმე, რათა სამუშაოსგან დაისვენოს და ამ მედიტაციურ საქმიანობაში ჩაეფლოს. ბარის მფლობელმა რამდენიმე წლის წინ ფერმა იყიდა, სადაც ბამბა მოჰყავდათ, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ იაფ იმპორტს ვერ გაუმკლავდებოდა და საკუთარ პროდუქციას ვერ გაყიდდა. ამიტომ მოიფიქრა, რომ ბამბა საკუთარ ბარში კლიენტების მისაზიდად გამოეყენებინა. ეს გათვლა სწორი აღმოჩნდა და მისი მოლოდინიც გამართლდა – დაწესებულებას კლიენტები არასდროს აკლია.

უხმო ფოიერვერკებს გამოიყენებენ

იტალიაში, ქალაქ კოლეკიოს ხელისუფლებამ ახალი კანონმდებლობა შემოიღო, რომლის მიხედვით, ადამიანებმა დღესასწაულებზე უხმო ფოიერვერკები უნდა გამოიყენონ ცხოველების პატისაცემად და იმ სტრესის შესამცირებლად, რასაც ის იწვევს. როგორც წესი, დიდი ზეიმების დროს, ძალიან ხშირად, ფოიერვერკებს უშვებენ. ჩვენ მოგვწონს ეს ფერადი აფეთქებები და ლამაზი სანახაობა, მაგრამ ცხოველები და ფრინველები ამას განსახვავებულდ აღიქვამენ. აფეთქების ხმამ, შეიძლება, მათში გულის პრობლემები, კანკალი, შიში და თავბრუსხვევა გამოიწვიოს, – ამბობენ სპეციალისტები.

ფოიერვერკებს „აკუსტიკური სტრესის“ გამოწვევაც შეუძლიათ, რადგან ცხოველთა ყურები უფრო მგრძნობიარეა, ისინი იბნევიან და ცდილობენ, იმ არეალიდან გაიქცნენ. ზოგჯერ ეს მათი დაკარგვით ან მანქანის ქვეშ აღმოჩენით სრულდება. ასე მიუდგნენ აპენინებზე ამ „საჭირბოროტო“ საკითხს. უხმო ასაფეთქებლებს კომპანია Setti Fireworks დაამზადებს. მათი ფოიერვერკები სანახაობრივია, მაგრამ გაშვების დროს, გამაყრუბელი ხმა არ აქვთ.

ოქროს სამკაულები დეპრესიას იწვევს

მასალა, რისგანაც სამკაულებია დამზადებული, პირდაპირ აისახება ადამიანის ფსიქოემოციურ ფონზე. როგორც კვლევებმა აჩვენა, მაგალითად, ოქროს შეუძლია მის მფლობელში დეპრესია გამოიწვიოს. ირკვევა, რომ ამ ძვირფასი ლითონისგან დამზადებული სამკაული ხელს უწყობს თავის ტვინში მიმდინარე ყველა პროცესის აქტიურ აგზნებას, თუმცა იმავდროულად, აფერხებს ნივთიერებათა ცვლას ორგანიზმში. შედეგად, ადამიანი იღებს ნეგატიური ემოციების მოზღვავებას. სწავლულებმა ამ თემასთან დაკავშირებით კვლევაც ჩაატარეს რამდენიმე ათას ადამიანზე, მათი ნაწილი მუდმივად ოქროს სამკაულებს ატარებდა. როგორც აღმოჩნდა, სწორედ ის მოხალისეები იყვნენ სტრესების მიმართ უფრო მდგრადები და უფრო სიცოცხლის მოყვარულები, რომლებიც ოქროს გარეშე დადიოდნენ. ექსპერტები არ გვირჩევენ, ოქრო გვეკეთოს მთელი დღის განმავლობაში და რაც მთავარია, სასურველი არაა, ამ სამკაულით დავიძინოთ. სამაგიეროდ, თურმე, ვერცხლი არ ახდენს ასეთ ძლიერ გავლენას ნერვულ სისტემაზე, პირიქით, სხვა გამოკვლევით ისიც დამტკიცდა, რომ ვერცხლი ამშვიდებს და თავის ტკივილსაც ხსნის. მეტიც, თურმე, ვერცხლს ძლიერი ანტიბაქტერიული ეფექტიც ჰქონია.

კოვიდ-ვაქცინა მორიელის შხამისგან?

სწავლულთა ჯგუფები ეგვიპტესა და დიდი ბრიტანეთიდან, მორიელის შხამისგან კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნას შეეცდებიან. მკვლევარები დაადგენენ, გამოდგება თუ არა ეგვიპტის უდაბნოში აღმოჩენილი მორიელის შხამი ანტივირუსული მედიკამენტების შესაქმნელად. შესაბამისი კვლევა, ამჟამად, სუეცისა და აბერდინის უნივერსიტეტებში მიმდინარეობს. სწავლულები განმარტავენ, რომ მორიელის შხამი ბიოლოგიურად აქტიური პეპტიდების კოქტეილს შეიცავს, რომელიც ზოგ შემთხვევაში, ანტიბაქტერიული და ანტივირუსული მოქმედებისაა. შხამის ანტიკორონავირუსული თვისების დასადგენად ხანგრძლივი კვლევებია საჭირო.

დასაწებებელ ვაქცინას გამოსცდიან

ბრიტანული კომპანია Emergex-ი კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინას შვეიცარიაში გამოცდის, – წერს გამოცემა "გარდიანი". ექსპერიმენტული ვაქცინა, რომელზეც მიკრონემსებია განთავსებული, პლასტირის მსგავსია. მისი შენახვა, სამ თვემდე ვადით, ოთახის ტემპერატურაზე იქნება შესაძლებელი, განსხვავებით სხვა პრეპარატებისგან, რომლებიც მაცივარში ან საყინულეში შენახვას მოითხოვს. როგორც კომპანიის წარმომადგენელი აღნიშნავს, ვაქცინა იყენებს T-უჯრედებს ორგანიზმში ინფიცირებული უჯრედების გასანადგურებლად. ბრიტანელებმა მიიღეს ნებართვა შვეიცარიის მარეგულირებლისგან, ჩაატარონ კლინიკური კვლევები ლოზანაში, 26 ადამიანის მონაწილეობით. კვლევას ლოზანას უნივერსიტეტის პროფესორი, ბლეზ იანტონი უხელმძღვანელებს. როგორც ვარაუდობენ, Emergex-ის ვაქცინები ხელმისაწვდომი 2025 წლისთვის უნდა იყოს.

დაბინძურებულ წყალს ჰიდროგელით გაწმენდენ

ამერიკელმა სწავლულებმა ტეხასის უნივერსიტეტიდან, ჰიდროგელის ტაბლეტები შექმნეს, რომელიც დაბინძურებულ წყალს სწრაფად წმენდს. ერთი საათის განმავლობაში, ამ აბს ერთი ლიტრი მდინარის წყლის დეზინფიცირება შეუძლია და ამის შემდეგ, ის სასმელად ვარგისი იქნება. წყლის გაწმენდის ძირითად მეთოდებთან შედარებით, როგორიცაა მისი ადუღება და პასტერიზაცია, რაც, თავის მხრივ, ენერგიასა და დროს მოითხოვს, ჰიდროგელის შექმნას ენერგოხარჯები არ სჭირდება და არც მავნე პროდუქტებს გამოჰყოფს. ჰიდროგელები წარმოქმნიან წყალბადის ზეჟანგს – ბაქტერიების ნეიტრალიზაციისთვის, რასაც 99.99%-იანი ეფექტურობით ახერხებს. წყალბადის ზეჟანგი ზემოქმედებს აქტივირებულ ნახშირთან, რათა შეუტიოს ბაქტერიების ძირითად უჯრედულ კომპონენტებს და დაარღვიოს მათი მეტაბოლიზმი. მკვლევართა მოსაზრებით, ჰიდროგელის დასამზადებლად საჭირო მასალა იაფია, სინთეზის პროცესი კი უმარტივესი, ის თავისუფლად შეიძლება გამოიყენონ დიდ მასშტაბებში.

გამოცდას ვირტუალურ რეალობაში ჩააბარებენ

სამხრეთ კორეის ეროვნული პოლიციის სააგენტო ხანდაზმულ ადამიანებს მართვის მოწმობის გამოცდას ვირტუალურ რეალობაში ჩააბარებინებს. ადგილობრივი გამოცემის ცნობით, ქვეყნის მთავრობის მიზანია, შეამოწმოს, შეუძლიათ თუ არა 65 წელს გადაცილებულ პირებს ავტომობილის უსაფრთხოდ მართვა. ამიერიდან, მათთვის გამოცდა VR-ყურსასმენით ჩატარდება, რომელიც შეაფასებს მათი მართვის უნარს, შემეცნებით შესაძლებლობებს და მეხსიერებას. სამხრეთ კორეაში, ხანდაზმულებისთვის მართვის მოწმობაზე სპეციალური რეგულაცია მოქმედებს. 75 წელს გადაცილებულებს მოწმობის განახლება 3 წელიწადში ერთხელ მოეთხოვებათ. სტატისტიკის მიხედვით, ასაკოვანი ადამიანები ორჯერ უფრო მეტად ხვდებიან ავტოსაგზაო შემთხვევებში, ვიდრე ახალგაზრდები.

ბავშვი კუდით დაიბადა

ბრაზილიელი ექიმები უიშვიათესი სამედიცინო შემთხვევის მომსწრენი გახდნენ – ქალაქ ფორტალეზაში, ახალშობილი 10-სანტიმეტრიანი კუდით დაიბადა. გავრცელებული ინფორმაციით, ჩვილს გრძელი „ფიბროზული ქორდა“, იგივე კუდი ჰქონდა, რომელიც 4-სანტიმეტრიანი დიამეტრის მრგვალი წანაზარდით ბოლოვდებოდა. მედიკოსებმა ახალშობილს წანაზარდი წარმატებით მოკვეთეს. ცნობილია, რომ ეგრეთ წოდებული კუდი თანდაყოლილი ანომალიაა, რომელიც ექიმებს ჯერ ბოლომდე არ გამოუკვლევიათ. ამ დროისთვის, ასეთი ანომალიის 40-მდე შემთხვევაა ცნობილი, მათ შორის, პირველი მე-19 საუკუნეში დაფიქსირდა.

მაღალ წნევას შოკოლადით უმკურნალებენ

სწავლულებმა დაადგინეს, რომ მძიმე წუთებში, შავი შოკოლადი არა მხოლოდ ამცირებს სულიერი განცდების სიმძაფრეს, არამედ, სხეულის გაჯანსაღებასაც ეხმარება. ამას ადასტურებს ამერიკის გულის დაავადებათა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევაც. ბოსტონელმა სპეციალისტებმა, პირველი კლინიკური ექსპერიმენტით დაადგინეს, რომ ჰიპერტონიით დაავადებულებს წნევა 12 პუნქტით შეუმცირდათ, როცა 15 დღის განმავლობაში, ყოველდღიურად, ერთ ფილა შავ შოკოლადს აძლევდნენ. სწავლულები ვარაუდობენ, რომ ეს "ღმერთების დესერტი" არა მხოლოდ ამცირებს სისხლის წნევას, არამედ, აუმჯობესებს სისხლძარღვების მუშაობასაც და ამით გულის დაავადებათა რისკს ამცირებს. ეს ყველაფერი კი ფლავანოიდების დამსახურებაა, რომელსაც კაკაო შეიცავს. თუმცა, მკვლევარები გვაფრთხილებენ, რომ წნევის დაწევა არ ღირს დიდი რაოდენობით შოკოლადის მიღების ხარჯზე, რადგან მას უძილობის გამოწვევაც შეუძლია. გარდა ამისა, ეს ტკბილეული დიდი რაოდენობით ცხიმს, შაქარსა და კალორიებს შეიცავს.

სფინქსების განახლებული ხეივანი გაიხსნა

ეგვიპტეში, ქალაქ ლუქსორში, არქეოლოგიური გათხრებისა და რეკონსტრუქციის შემდეგ, სფინქსების ხეივანი გაიხსნა. ცნობილია, რომ ადრე, 3000-წლიანი ისტორიის მქონე ხეივანს „ღმერთის გზა“ ეწოდებოდა და მასზე ფარაონების პროცესიები იმართებოდა. გზის სიგრძე, დაახლოებით, 3 კილომეტრია, სიგანე კი 80 მეტრი. ხეივანში ნაწილობრივ ან სრულად შემორჩენილი 1057 ქანდაკება დგას. სფინქსების ხეივანი 1949 წელს აღმოაჩინეს, როდესაც არქეოლოგებმა ქვიშაში მითიური არსებების 8 ქანდაკება იპოვეს.

ფიზკულტურა ინტელექტს ამაღლებს

კანადელმა სწავლულებმა დაადგინეს, რომ აქტიური ფიზიკური ვარჯიშები ინტელექტს ამაღლებს. ექსპერიმენტისას, სპეციალისტები ასობით მოხალისეს აკვირდებოდნენ და აღმოაჩინეს, რომ ადამიანები, რომლებიც ვარჯიშობენ, შედარებით უფრო სწრაფად იღებენ გადაწყვეტილებებს. მიზეზი კი ის არის, რომ ვარჯიშის დროს, ტვინის სისხლით მომარაგება იზრდება. ექსპერიმენტში მონაწილეთა საშუალო ასაკი 49 წელი იყო. ყველა მათგანს ჭარბი წონა და პასიური ცხოვრების სტილი ჰქონდა. ექსპერიმენტის დაწყებამდე, თითოეულმა მათგანმა ნეიროფსიქოლოგიური ტესტი გაიარა. კვირაში ორჯერ, მონაწილეები ველოტრენაჟორზე ვარჯიშობდნენ. ორი კვირის შემდეგ კი, თითოეული მათგანის ორგანიზმში ცხიმის მარაგი საგრძნობლად შემცირდა და მათმა ტვინმა მუშაობა უკეთ დაიწყო. გარდა ამისა, გამოკვლევის ავტორების თქმით, ეს პროცესი არ ჩერდება ანუ ფიზიკური დატვირთვა და სწრაფად ფიქრის შესაძლებლობა ურთიერთკავშირშია. ასე რომ, რაც მეტს ვარჯიშობს ადამიანი, მით უფრო იზრდება მისი ინტელექტი. სწავლულები აღნიშნავენ, რომ ინტელექტუალური ფუნქციების დაქვეითება, დიდწილად, სიბერის ბრალია, თუმცა ფიზიკური ვარჯიშებით ამ პროცესის შენელება შესაძლებელია.

ცოლს ტაჯ-მაჰალის ასლი აუშენა

ინდოეთში მცხოვრებმა მამაკაცმა, საკუთარ მეუღლეს, სიყვარულისა და ერთგულების გამოსახატად, მინი ტაჯ-მაჰალი აუგო. 52 წლის ბიზნესმენმა, ამ ფორმით, მეუღლეს ქორწინების 27-ე წლისთავი მიულოცა. მსოფლიოში ცნობილი მავზოლეუმის ასლის აშენება მოსიყვარულე ქმარს 260 ათასი დოლარი დაუჯდა. თეთრი მარმარილოს სახლს, რომელიც ბურჰანპურში მდებარეობს, ოთხი საძინებელი, ბიბლიოთეკა, რამდენიმე მინარეთი და მდიდრული ინტერიერი ამშვენებს. მშენებლობას სამი წელი დასჭირდა. ორიგინალი ტაჯ-მაჰალი ქალაქ აგრაში მდებარეობს და ის იმპერატორმა შაჰ-ჯაჰანმა, საყვარელი მეუღლის – მუმთაზ-მაჰალის ხსოვნას მიუძღვნა, რომელიც მშობიარობას გადაჰყვა.

„სიზმრების დამჭერი“ სასტუმრო ააგეს

საფრანგეთში, მარსელთან ახლოს, „მაღალი ტექნოლოგიებით“ აგებული ახალი, ეკოლოგიური სასტუმროს ნომერი, დღე-ღამეში, 700 დოლარი ღირს. ცნობილი დიზაინერის, პიერ სტეფან დიუმას მიერ შექმნილი ორიგინალური ნაგებობა ერთმანეთთან შეერთებული დიდი სფეროებია, რამდენიმე „ოთახის“ ზედა ნაწილი კი – სრულიად გამჭვირვალე. დახურულია მხოლოდ პირადი ჰიგიენისთვის განკუთვნილი სექტორები. დიზაინერის თქმით, სასტუმროს, რომელსაც „სიზმრების დამჭერი“ უწოდეს, ძირითადი ხიბლი ვარსკვლავებიანი ცაა. გამჭვირვალე სფეროების სხვადასხვა სტილი სტუმრებს საშუალებას აძლევს, მათთვის შესაფერისი „სფერო-ნომერი“ აირჩიონ. სასტუმრო მთელი წლის განმავლობაში ფუნქციონირებს და მსურველს შეუძლია, აქ წელიწადის ნებისმიერ დროს დატკბეს ბუნებაში ყოფნით. უნიკალური ეკო-ოტელი უკვე საკმაოდ პოპულარულია, რადგან აქ მოსახვედრად უზარმაზარი რიგებია.

მანდარინი მუცლის ცხიმებს წვავს

მკვლევარები აცხადებენ, რომ მანდარინი უსაფუძვლოდ არ მიიჩნევა ყველაზე უფრო პოპულარულ ზამთრის ხილად. აღმოჩნდა, რომ ამ ნაყოფს უამრავი ღირსება აქვს და ის არა მხოლოდ გემრიელია, არამედ შეუცვლელიც არის თავისი თვისებებით. სპეციალისტებმა დაამტკიცეს, რომ მანდარინი განსაკუთრებულ ნივთიერებას შეიცავს, რომელიც ღვიძლის ქონის შემცირებას უწყობს ხელს. ეს ხილი ისე მოქმედებს, რომ მუცლის არეში არსებული ცხიმი მცირდება. სპეციალისტების ასეთი განცხდებები მხოლოდ ვარაუდები არ არის, მათ სერიოზული ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომელიც ორ თვეს გრელდებოდა. მისი მონაწილე ჭარბი წონის მქონე 30 მოსწავლე იყო. კვლევა სამხრეთ კორეაში ჩატარდა. ბავშვები ორ ჯგუფად გაყვეს. ერთს მანდარინის წვენს აძლევდნენ და ფიზიკურადაც ავარჯიშებდნენ, მეორე ჯგუფი იგივე აქტივობებს ასრულებდა, მხოლოდ მანდარინის გარეშე. ექსპერიმენტის დასრულებისას კი საინტერესო შედეგები გამოიკვეთა – პირველი ჯგუფის მოსწავლეებმა ზედმეტი წონა მოიშორეს. კორეელმა სწავლულებმა დაადგინეს, რომ მანდარინში არსებული პოლიმეტოქსილირებული ფლავონებს განსაკუთრებული თვისებები აქვთ. ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ ის ლიპოპროტეინების დაშლას უწყობს ხელს და ამით ორგანიზმს ზედმეტი ცხიმის მარაგისგან ათავისუფლებს. ასე რომ, გახდომის მსურველებმა, თამამად ჩართეთ რაციონში ეს გემრიელი ციტრუსი.

ძროხებს საოპერო არიებს უმღერის

დიდ ბრიტანეთში ძროხებისთვის არა მხოლოდ გაცნობის მობილური აპლიკაცია შექმნეს, არამედ, საოპერო არიებითაც ართობენ. ყოველ შემთხვევაში, ასე იქცევა ვეტერინარი, ალფონსო კამასა. ის იტალიაში, ფერმაში გაიზარდა და ბავშვობიდან უმღერდა შინაურ ცხოველებს. კამასამ შენიშნა, რომ ახალდაბადებულ ხბოებს თავიდან აშინებთ მისი არიები, მაგრამ მოზრდილები უკვე მისი სიმღერისგან სიამოვნებას იღებენ. ვეტერინარის რეპერტუარში მხოლოდ და მხოლოდ კლასიკაა და არიები მხოლოდ იტალიური ოპერებიდან.

ხელოვნური სისხლი ჟანგბადს გადაიტანს

ადამიანს შეუძლია, საკვებისა და წყლის გარეშე რამდენიმე დღე გაძლოს, მაგრამ სისხლის დიდი რაოდენობით დაკარგვის შემთხვევაში, ყველაფერი წუთებსა და წამებზეა დამოკიდებული. სისხლის შემცვლელ ხსნარებს დახმარება ყოველთვის არ შეუძლია, რადგან მათი უმეტესობა დაკარგული სისხლის მოცულობას კი ავსებს, მაგრამ არ შეუძლიათ სისხლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანების ფუნქციის – ჟანგბადის გადატანის შეთავსება. არც სისხლის გადასხმაა, ყოველთვის ხელმისაწვდომი. სწორედ მსგავსი შემთხვევებისთვის, ვაშინგტონის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის სწავლულებმა შექმნეს Erythromer – ადამიანის სისხლის სინთეტიკური ანალოგი, რომელსაც ორი დღე-ღამის განმავლობაში, ჟანგბადის გადატანა შეუძლია. მკვლევარები ამბობენ, რომ მათი გამოგონება სისხლის შემცვლელი კი არ არის, სისხლის მოცულობის შევსების დროებითი საშუალებაა, რომელიც ჟანგბადის გადატანისა და სხეულის ყველა უჯრედამდე მიტანის ფუნქციას აღადგენს. აღსანიშნავია, რომ დღეს, მსგავსი სახის ბევრი ნივთიერება არსებობს, თუმცა ამ ნივთიერებებს ბევრი უკუჩვენებები აქვთ – ალერგიული რეაქციიდან დაწყებული, ინტოქსიკაციითა და ქსოვილის დაზიანებით დამთავრებული.

მანქანებს დასაძინებლად ქირაობენ

იაპონიაში, ქარშერინგის (მანქანების გაქირავების) უდიდესმა ოპერატორებმა – Times24 და Orix, მოულოდნელად აღმოაჩინეს, რომ მათთან ისეთი კლიენტების რაოდენობა იზრდება, რომლებიც რეგულარულად ქირაობენ ავტომანქანებს, მაგრამ არსად არ მიდიან, ადგილიდანაც კი არ ძრავენ მას. კომპანიებში ეს საკმაოდ უცნაურად მოეჩვენათ და გადაწყვიტეს გაერკვიათ, რაში დასჭირდათ ამ ადამიანებს მანქანები. აღმოჩნდა, რომ ყოველი მერვე იაპონელი, „ქარშერინგს“ გადაადგილებისთვის კი არა, სულ სხვა მიზნებისთვის იყენებს. ყველაზე ხშირად, ნაქირავებ მანქანებს დასაძინებლად ან უბრალოდ, დასასვენებლად იყენებენ. ზოგი მას შემნახველი საკნის ნაცლადაც ქირაობს – ჩანთებისა და პირადი ნივთების შესანახად. ზოგი იაპონელი კი ამჯობინებს, წყნარად მანქანაში დაჯდეს ნოუთბუქით, ვიდრე კაფეში. აღმოჩნდნენ ისეთი მოქალაქეებიც, რომლებიც ნაქირავებ ავტოებში სადილობდნენ – სასადილოში ან კაფეში წასვლის ნაცვლად, უახლოეს მაღაზიაში ყიდულობენ მზა საკვებს და ავტომობილში მიირთმევენ.

წვნიანი ნაბახუსევისთვის

იაპონურმა ბრენდმა Nagatanien, კონსერვირებული სუპ-მისო გამოუშვა მოლუსკებით, რომელსაც, მწაროელებლთა მტკიცებით, სამკურნალო თვისებებისა და ნაბახუსევის სიმპტომების შემსუბუქება შეუძლია. კონსერვის თითო ქილა 70 მოლუსკს შეიცავს, რომელიც მდიდარია ამინომჟავა ორნიტინით. ეს ნივთიერება სტრესის დონის დაქვეითებაში ეხმარება ადამიანს, ამცირებს დაღლილობის შეგრძნებას და ძილის ხარისხს აუმჯობესებს. გარდა ამისა, ორნიტინი ღვიძლის მუშაობას უწყობს ხელს, ალკოჰოლის მიღების შემდეგ მას მავნე ტოქსინების გამოდევნაში ეხმარება. წვნიანის შექმნელები აღნიშნავენ, რომ ძველ დროში, ამომავალი მზის ქვეყანაში, მოლუსკებს მაშინ მიირთმევდნენ, მხიარულად გატარებული ღამის შემდეგ, ნაბახუსევს რომ გამკლავებოდნენ. ახალი წვნიანი იაპონიის მაღაზიებსა და სავაჭრო ავტომატებში 121 იენი (დაახლოებით 1 დოლარი) ღირს.

ჯაკუზი გლინტვეინით

ბრიტანული სასტუმრო Shrigley Hall, საახალწლო დღესასწაულების წინ, კლიენტებს ახალ სერვისს სთავაზობს, კერძოდ, ზამთრის ყველაზე პოპულარული სასმელით – სპა-პროცედურა „მსოფლიოში პირველი“ გლინტვეინის ჯაკუზით. ჰიდრომასაჟის აბაზანაში 1000 ლიტრამდე (560 ბოთლზე მეტი) ღვინოს ასხამენ, რომელიც ისე გადამუშავდება, რომ pH-ის ნეიტრალური დონე უზრუნველყოს. სასმელი კომფორტულ, 37 გრადუსამდე ცხელდება, რის წყალობითაც ფორები იხსნება და სხეულიდან ტოქსინები გამოიდევნება, კანი კი გლინტვეინში არსებულ სასარგებლო ნაერთებს შეანთქავს. სპეციალისტების თქმით, წითელ ღვინოში არსებული ტანინები ანტიბაქტერიული თვისებებით გამოირჩევა, ებრძვის ვირუსებს და სოკოს, აუმჯობესებს გულის მუშაობას და სისხლის მიმოქცევას. ასეთი სადღესასწაულო სპა-პროცედურის ფასი, ჭიქა გლინტვეინთან ერთად, 60 გირვანქა სტერლინგიდან იწყება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.